პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 254 (13070) | ხუთშაბათი, 29 ოქტომბერი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

კოლმეურნეებო და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო!

განავითარეთ საზოგადოებრივი მეცხოველეობა, განამტკიცეთ საკვები ბაზა, რაციონალურად გამოიყენეთ საკვები! გაადიდეთ ხორცის, რძის, პარაქის, კვერცხისა და სხვა პროდუქციის წარმოება!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებიდან.

სოფელს — სანიმუშო სამედიცინო მომსახურება

ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო არ ზოგავს ძალებსა და სახსრებს კომუნიზმის მშენებელ ადამიანთა ჯანმრთელობის დასაცავად. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტში ჯანმრთელობის დაცვის საქმისათვის განკუთვნილი სახსრების ყოველწლიური ზრდა და სამედიცინო პერსონალის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

დიდია იმათი როლი და პასუხისმგებლობა, ვისაც მინდობილი აქვს ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა. ექიმები, ფერშლები, ფარმაცევტები, მედიცინის დები, სანიტრები, მედიცინის ყველა მუშაკი ვალდებულია მაქსიმალურად გამოიყენონ ყველა საშუალება ადამიანთა ჯანმრთელობის დასაცავად.

ჩვენი რესპუბლიკის რაიონებსა და სოფლებში შექმნილია პოლიკლინიკები და საავადმყოფოები, საექიმო უბნები, ყველა საშუალება გვაქვს იმისათვის, რომ აქტიურად ვებრძოლოთ ადამიანთა დაავადებებს. მოსახლეობა უზრუნველყოფილია ადვილად მისაწვდომი და მაღალკვალიფიციური უფასო სამედიცინო დახმარებით. საბჭოთა ადამიანების განკარგულებაშია სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების ფართო ქსელი.

საქართველოს მშრომელთა ჯანმრთელობის დადარაჯზე დგას ექიმების 13-ათასიანი არმია და საშუალო სამედიცინო განათლების მქონე 32 ათასი მუშაკი.

სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის დასახულ ამოცანათა განხორციელების საქმეში თავიანთი ღირსეული წვლილი შეაქვთ ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებს. საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა მასობრივმა პროფილაქტიკუმმა შემოწმებამ ავადმყოფობათა ადრეულ ფორმებში გამოვლინების მიზნით, ავადმყოფების დისპანსერულ მეთვალყურეობაზე აყვანამ და დროულმა მკურნალობამ ხელი შეუწყო კოლმეურნეთა შრომის ნაყოფიერების ამაღლებას.

სოფლის სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ქსელი ნაყოფიერ მუშაობას ეწევა თანამედროვე სამედიცინო მეცნიერების მიღწევების პრაქტიკაში დასანერგავად, რის შედეგადაც მკვეთრად გაუმჯობესდა სამედიცინო მომსახურების ხარისხი. სოფლის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმე კარგად არის დაყენებული მახარაძის, ხაშურის, სამტრედიის, თელავის რაიონებში.

მთელი რიგი ღონისძიებები განხორციელდა სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გასაუმჯობესებლად. სამხრეთ ოსეთში, ახალქალაქში, ბოლნისში, გარდაბანში, ყვარელში, სამტრედიაში, თეთრ წყაროში, მარნეულში გაიგზავნა კომპლექსური ბრიგადები, რომლებმაც ყოველმხრივ შეისწავლეს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა. გამოირკვა, რომ სამედიცინო მომსახურება ძალზე ცუდად არის დაყენებული სამხრეთ ოსეთში, ახალქალაქსა და მარნეულში. თეთრ წყაროში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში ბრიგადის მიერ გამოვლინებული ნაკლოვანებები განიხილა პარტიული კომიტეტის ბიუროს და დასახა ღონისძიებანი სამედიცინო დაწესებულებათა ქსელის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ბრიგადების მიერ გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებისათვის ჯანმრთელობის სამინისტრომ კონკრეტული ღონისძიებები განახორციელა, რაიონებში გაიგზავნა კვალიფიციური ექიმები.

სოფლად ბევრი საუბნო საავადმყოფო კარგად მუშაობს, ავადმყოფთა მომსახურება სანიმუშოდ არის დაყენებული. გეგეჭკორის რაიონის სოფელ სალხინოს საუბნო საავადმყოფომ (მთავარი ექიმი ვ. ჯიქია) პატარა მეურნეობა შექმნა. იქ მიღებული პროდუქტები — ხილი, ბოსტნეული ავადმყოფთა დაშატებით კვებას ხმარდება.

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკაში უკანასკნელ წლებში მკვეთრად გაუმჯობესდა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება, ჯერ კიდევ არიან ისეთი ექიმები, რომლებიც უგულოდ ეკიდებიან ამ საპატიო საქმეს. ზესტაფონის რაიონის სოფელ ბოსლევის საექიმო ამბულატორიაში (გამგე ნ. თოხაძე) სამედიცინო მომსახურება ჩაშლილია.

არის შემთხვევები, როცა ჩვენი სამშენებლო ორგანიზაციები სამკურნალო დაწესებულებების მშენებლობისათვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხების მოლიანად ათვისებას ვერ ახერხებენ, მშენებლობას ნელი ტემპით აწარმოებენ. მაგალითად, ახალქალაქში 1958 წლიდან შენდება საავადმყოფო, მაგრამ არ იქნა და დამთავრება არ ეღირსა. ასევე შეუწყნარებლად ჭიანურდება სოხუმის რესპუბლიკური საავადმყოფოს, ჯავის საავადმყოფოს, გორის ბავშვთა საავადმყოფოს მშენებლობა. მსგავსი მაგალითები სხვაც ბევრია. სოფლად სამკურნალო დაწესებულებათა მშენებლობის გეგმა სისტემატურად არ სრულდება.

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, სამშენებლო ორგანიზაციებმა, ადგილობრივმა საბჭოებმა სათანადო დასკვნები უნდა გაიკეთონ ამ არასახარბიელო მდგომარეობიდან, იბრძოლონ იმისათვის, რომ დროულად დგებოდეს მწყობრში სასოფლო საავადმყოფოები.

ცნობილია, რომ ჩვენი რესპუბლიკა სამედიცინო კადრების მწვავე ნაკლებობას არ განიცდის, მაგრამ დღეისათვის რაიონებში ექიმის 900 ადგილი ვაკანტურია. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ უფრო გონივრულად უნდა გაანაწილოს ექიმები რაიონებსა და სოფლებში, იმ ანგარიშით, რომ ყველა რაიონს, სოფელს, საავადმყოფოს კვალიფიციური ექიმები ჰყავდეს.

საბჭოთა ექიმი სოფლად ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზატორი, აქტიური საზოგადოებრივი მუშაკია. მან მოსახლეობას კვალიფიციური პოლიკლინიკური და სტაციონარული დახმარება უნდა გაუწიოს, გადაწყვიტოს მნიშვნელოვანი პროფილაქტიკური და სანიტარულ-ჰიგიენური საკითხები, იყოს მედიცინის მეცნიერების აქტიური პროპაგანდისტი. ამ ღონისძიებათა განხორციელებით ექიმი ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში შრომის ნაყოფიერების ამაღლებას. ამიტომ სასოფლო რაიონების სამედიცინო კადრების დაკომპლექტებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვა ადგილობრივი საბჭოების მუშაობის ერთ-ერთი სერიოზული უბანია. ადგილობრივმა საბჭოებმა დეპუტატების, აქტივის დახმარებით უნდა წარმართონ ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა საქმიანობა, კონტროლი გაუწიონ მათ, იბრძოლონ საავადმყოფოებში, პოლიკლინიკებსა და ამბულატორიებში სანიმუშო სასუფთავისა და წესრიგისათვის, ხელი შეუწყონ სამკურნალო დაწესებულებათა ქსელში მუშაობის კულტურის ამაღლებას.

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების გადაუდებელი ამოცანაა უფრო ოპერატიულად, საქმის ცოდნით უხელმძღვანელონ მედიცინის ფრონტის მუშაკებს, ამიალონ „მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა, მეტი ყურადღება მიაქციონ ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლებას, ხშირად მიავლინონ გამოცდილი ექიმები სასოფლო საავადმყოფოებში, პოლიკლინიკებსა და ამბულატორიებში მკურნალობის ახალი მეთოდების გასაცნობად.

ამოცანა ის არის, რომ უზრუნველყოფილ იქნას მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესება და განვითარება. ეს ამოცანა წარმატებით გადაიჭრება, თუ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები ქმედითად, კონკრეტულად უხელმძღვანელებენ და დაეხმარებიან ექიმთა მრავალრიცხოვან არმიას.

საოქტომბრო ვახტაზე

ახალი მიწისქვეშა ქარხანა

ტყიბული. (საკ. კორ.). აქ შახტმშენებელთა კოლექტივმა დაამთავრა და საექსპლოატაციოდ გადასცა ორჯონიკიძის სახელობის შახტის ახალი მეორე მძლავრი სამთო ჰორიზონტი. სახელმწიფო კომისიამ ამ გიგანტურ მიწისქვეშა ქარხანას კარგი შეფასება მისცა. ახალი ჰორიზონტი სრული სიმძლავრით ამუშავების შემდეგ იმაზე გაცილებით მეტ სათბობს მოგვცემს, ვიდრე ორჯონიკიძის სახელობის შახტი ამჟამად იძლევა.

შესრულებულია წლიური გეგმა!

ჟუთაისი. (საკ. კორ.). საკონსერვო ქარხნის კოლექტივმა 15 ოქტომბრისათვის უპატაჟო სამშობლოს საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმის შესრულება. ამავე დროისათვის სასაქონლო პროდუქციის გამოშვების მიმდინარე წლის დავალება 116,5 პროცენტით გაანაღდა. განვლილ პერიოდში ქარხანამ გამოუშვა 25 მილიონი ქილა კონსერვი და ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში გაგზავნა 903 ვაგონი პროდუქცია.

მეკონსერვეებმა 13,8 პროცენტით აიმაღლეს შრომის ნაყოფიერება, ხოლო თვითღირებულების შემცირების გზით 98.000 მანეთი ზეგეგმითი ეკონომია გასწიეს.

ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა დიადი დღესასწაულისათვის დამატებითი გამოუშვას სულ მცირე 200 ათასი მანეთის პროდუქცია.

დიდი გადაჭარბებით

წყალტუბო. (საკ. კორ.). ზეთოვან და სრესილ საღებავებს, ოლიფას და სხვა ქიმიურ პროდუქტებს, რომლებსაც წყალტუბოს ქიმიური ქარხანა უშვებს, ჩვენი ქვეყნის ბევრ კუთხეში იცნობენ.

ქარხნის კოლექტივმა ათი თვის დავალების გადამეტებით მისცა საშობოლოს 102.300 მანეთის პროდუქცია, რითაც თერმეტი თვის დავალება შესრულა და 25 ოქტომბრიდან დეკემბრის ანგარიშში დაიწყო მუშაობა.

განვლილ პერიოდში ქიმიკოსებმა გეგმასთან შედარებით 4,1 პროცენტით აამაღლეს შრომის ნაყოფიერება, თვითღირებულების შემცირების გზით ათასობით მანეთი ეკონომია მიიღეს.

მომავალი წლის ანგარიშში

ბორჯომი. (საკ. კორ.). ლენინისა და კალინინის სახელობის მაღაროებმა მარგანეცის მომპოვებელი კარიერების კოლექტივებმა, რომლებსაც გ. დარბაიძე და შ. კაპანაძე უძღვებიან, უკვე შესრულეს წლიური დავალებანი და 1965 წლის ანგარიშში ათასობით ტონა მარგანეცი დამზადდეს.

ზეგეგმითს მარგანეცს იძლევიან აგრეთვე ო. ლაბაძისა და ზ. წერეთლის ცვლები, მაღაროელები გ. სამყურაშვილი, ო. კაპანაძე.

გამართულად, რენტაბელურად

ორჯონიკიძე. (საკ. კორ.). გამართულად და რენტაბელურად მუშაობს მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის კოლექტივი, რომელიც ბათუმელ და მაიკოპელ თანამოსაქმეებს ეკიბრება.

ფაბრიკის კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა ავეჯის გამოშვების ცხრა თვის დავალება, გაზარდა შრომის ნაყოფიერება, სამშობლოს მისცა 13.700 მანეთზე მეტი ზეგეგმითი მოგება.

პირველ საამქროში ნახევარფაბრიკატების სახარშავი ცილინდრების შეცვლით დაჩქარდა ტექნოლოგიური პროცესი, გაუმჯობესდა ავეჯის ხარისხი. აქ დაიდგა სკამის ნაწილის დამამრგვალებელი ჩარხები, რითაც ორჯერ გაიზარდა შრომის ნაყოფიერება.

დაჩქარებით შენდება დაწნეხილი ნახერხისაგან სკამის ნაწილების დამამზადებელი საამქრო, ეწყობა ავეჯის მექანიზებული შეღებვა, რითაც გაიაფდება პროდუქცია, ამაღლდება ხარისხი.

ვალდებულება განაღდებულია

შრომაში მოპოვებული ახალი მიღწევებით შეეხვედთ ოქტომბრის დღესასწაულს, სამშობლოს დამატებით მივცეთ 50 ტონა ქაღალდი და 40 ტონა მუყაო — ასეთი ვალდებულება იკისრა თბილისის ქაღალდის ფაბრიკის კოლექტივმა.

გუშინ შეჯამეს საწარმოო შედეგები. ათი თვის დავალება შესრულებულია გადაჭარბებით და ახლა ქარხანა პროდუქციას იძლევა ნოემბრის ანგარიშში. ქაღალდის გამოშვების საოქტომბრო ვალდებულება შესრულებულია 30 ტონის, ხოლო მუყაოსი — 20 ტონის გადამეტებით.

წინასაღდესასწაულო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაში თავი ისახელა ქაღალდის საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადამ, რომელსაც გ. გუნანოვი ხელმძღვანელობს. 25 ტონა ქაღალდი ათი თვის გეგმის გადამეტებით — ასეთია ამ ბრიგადის წევრთა საღღესასწაულო მიღწევა.

29 ოქტომბერი ლენინური კომკავშირის დაბადების დღეა

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის ახალგაზრდობა შრომითი საჩუქრებით ხვდება ლენინური კომკავშირის დაბადების დღეს.

სურათზე: ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადების ახალგაზრდა წევრები (მარცხნიდან მარჯვნივ): ამწყობი-ზეინკლები ჰ. შედანია, ჰ. წიტაიშვილი, გამამხოლოებელი ნ. გელაშვილი, ამწყობი-ზეინკალი ა. კორტანელი, გამამხოლოებელი მ. გურაგლიანი, ამწყობი-ზეინკალი ჯ. გოგშელიძე და გამამხოლოებელი მ. ტატოიანცი.

ფოტო ს. კილაძისა.

ჭრიუმფალური დებიუტი

მილანო, 28 ოქტომბერი. (საკდესი). დიდი თეატრის სპექტაკლ „ბორის გოდუნოვით" გაიხსნა სახელგანთქმული მილანოს თეატრ „ლა სკალას" წლევანდელი სეზონი.

„დიდი თეატრის ბრწყინვალე დებიუტი", — ასეთი სათაურით იუწყება გასტროლების დაწყებას გაზეთი „უნიტა".

„ბორის გოდუნოვი" დიდი თეატრის დადგმით — საოცრად ცხოვრებისეული და მიმზიდველი წარმოდგენაა, იგი ხალხისთვის არის შექმნილი და განკუთვნილი"—წერს ამ გაზეთის თეატრალური კრიტიკოსი ჯაკომო მანცონი. იგი მაღალ შეფასებას აძლევს ორკესტრს, დირიჟორის, ლოტბარის ოსტატობას, სპექტაკლის მხატვრულ გაფორმებას.

„სპექტაკლის სიცოცხლისუნარიანობასა და მნიშვნელობას, — წერს ჯაკომო მანცონი, — განსაზღვრავს უწინარეს ყოვლისა უაღრესად გამოცდილი, ჰარმონიული და მონოლითური საოპერო კოლექტივი".

ტრიუმფალურს უწოდებს დიდი თეატრის პირველ სპექტაკლს მილანში გაზეთი „პაეზი სერა". „დიდებული შემსრულებლები, შესანიშნავი მასობრივი სცენები" ასეთია გაზეთის სათაურები.

გუშინდლამდე, აღნიშნავს გაზეთი „ავანტი" სტატიაში „მილანოს ტურნე ტრიუმფით დაიწყო", იტალიელებს არასოდეს არ მოუსმენიათ ამ სახელგანთქმული ოპერის ასეთი ბრწყინვალე და ჰარმონიული შესრულება.

პრემიერას დაესწრნენ ტურიზმის, სპორტისა და სანახაობათა საწარმოების საქმეთა მინისტრი ა. კორონა, ქალაქ მილანოს მერი პროფესორი ბუკალოსი, იტალიის მუსიკალური საზოგადოებრიობისა და კულტურის მრავალი წარმომადგენელი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ვ. ა. ფურცევა, მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. პრომისლოვი, სსრ კავშირის ელჩი იტალიაში ს. პ. კოზირევი.

მხოლოდ პირველი ხარისხის

თბილისის ტყავ-საგალანტერეო ფაბრიკის კოლექტივი დიდი მონდომებით იბრძვის იმისათვის, რომ კარგი მაჩვენებლებით შეხვდეს ოქტომბრის დიად დღესასწაულს. აქ საერთო პროდუქციის გამოშვების ათი თვის საწარმოო დავალება გადაჭარბებით შესრულეს. პირველი ოქტომბრისათვის გეგმით გათვალისწინებული 2 მილიონ 260 ათასი მანეთის პროდუქციის ნაცვლად გამოუშვეს 2 მილიონ 270 ათასი მანეთის პროდუქცია.

ამას წინათ მოსკოვში გამართულ სამხატვრო თათბირზე ფაბრიკის კოლექტივმა გაგზავნა ახალი პროდუქციის 80 მოდელი. აქედან 70 მოღებულ იქნა, მათ შორის 8 მოდელმა უმაღლესი შეფასება მიიღო.

ამჟამად ფაბრიკაში მიმდინარეობს მუშაობა ახალი ნიმუშების დასანერგავად წარმოებაში. გადაწყვეტილია ნოემბრისათვის გამოუშვან 6 ახალი სახის პროდუქცია, მათ შორის თანამედროვე სტილის ქალის ჩანთა, სპორტული თუ მოსწავლის ჩანთები, ჩემოდნები, რომლებიც გამოირჩევიან სიმსუბუქით, ფერთა შეხამებითა და პრაქტიკულობით.

შრომის საუკეთესო მაგალითს იძლევა ჩემოდნების საამქროს ის ბრიგადა, რომელიც მოსწავლის ჩანთების დამზადებაზე მუშაობს. ეს ბრიგადა დაკომპლექტებულია კომკავშირელებით. ტექნოლოგიური პროცესების სრული დაცვისა და სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენების გზით ბრიგადამ მიაღწია იმას, რომ სანიმუშო გამხდარიყო ფაბრიკაში.

Ც. სისაური.

ჭრიუმფალური დებიუტი

ბაკო, 28 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). 27 ოქტომბერს აქ გაიხსნა ამიერკავკასიის ირიგატორთა თათბირი. წყალთა მეურნეობის მშენებლობის საკითხზე. მოხსენებანი ამის შესახებ, თუ რა ღონისძიებანი ხორციელდება წელს ახალ სიმძლავრეთა ამუშავების უზრუნველსაყოფად და როგორ ემზადებიან საამშენებლო ორგანიზაციები შესასრულონ 1965 წლის დავალებანი, გაკეთეს ანერბაიჯანის სსრ წყალთა მეურნეობის მინისტრმა ტ. ი. ანდულრაგიმოვმა, საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის მინისტრმა გ. ს. ქობულიამ, სომხეთის სსრ წყალთა მეურნეობის მინისტრმა გ. ა. ბაგრამიანმა, სსრ კავშირის სარწყავი მიწათმოქმედებისა და წყალთა მეურნეობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის ამიერკავკასიის საწარმოო-ტერიტორიული სამმართველოს უფროსმა პ. ა. ფოლადზადემ.

თათბირზე გამოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე ო. დ. გოცირიძე და სსრ კავშირის სარწყავი მიწათმოქმედებისა და წყალთა მეურნეობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ო. ბ. კანატოვი.

დაუთმეს თუ არა?

საერთაშორისო თემაზე

ლონდონი, 28 ოქტომბერი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ჩუკსეევი იუწყება:

აშუქებს რა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის გორდონ-უოკერის ვაშინგტონის მოლაპარაკების შედეგებს, ინგლისის პრესა დაასკვნის, რომ მან, ალბათ, მოახერხა გადაედო ნატოს მრავალმხრივი ძალების შექმნის პროექტში ინგლისის მონაწილეობის საკითხის გადაჭრა. ამ საკითხის დაუყოვნებლივ გადაჭრას დაჟინებით მოითხოვდნენ ბოლო დრომდე ბონისა და ვაშინგტონის წრეები, როგორც თვით გორდონ-უოკერმა განაცხადა, იგი ამტკიცებდა, რომ ინგლისის ახალ მთავრობას უნდა ჰქონდეს გარკვეული დრო გადაწყვეტილების მისაღებად. საერთო აზრით, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა განაცხადეს, რომ დაელოდებიან შემდგომ წლამდე, რათა ამ დროისათვის ლონდონმა დაამთავროს თავისი სამხედრო და საგარეო პოლიტიკის ანალიზი და წამოაყენოს კონკრეტული წინადადებანი ნატოს ატომური ძალების შესახებ.

ლეიბორისტული ხელმძღვანელობა ხელისუფლების სათავეში ჩადგომამდეც და ახლაც აცხადებს, რომ წინააღმდეგია ნატოს მრავალმხრივი ატომური ძალების იდეისა ახლანდელი ვარიანტით, რომელიც, როგორც ცნობილია, ითვალისწინებს შეიქმნას წყალზედა გემების ძვირადღირებული ფლოტი, ამერიკული „პოლარისის" რაკეტებით აღჭურვილი, ამასთან ხარჯების მნიშვნელოვანი წილი ეკისრება და, მაშასადამე, ამ ძალებისადმი კონტროლი უმთავრესად ეთმობა დასავლეთ გერმანიას.

საერთოდ ლეიბორისტთა შემხვედრი წინადადება, თუმცა მისი დეტალები ჯერჯერობით არ არის ცნობილი, ითვალისწინებს ნატოს ატომური ძალების შექმნას უფრო ფართო საფუძველზე ისე, რომ ამ ძალებს იქნეთ ბომბდამშენები, რაკეტამზიდი წყალქვეშა ნავები და მიწისზედა რაკეტები წყალზედა გემებთან ერთად, აგრეთვე ითვალისწინებს კონტროლის გაფართოებას.

მაგრამ გადადება, რომელსაც, ალბათ, მიაღწია გორდონ-უოკერმა, არ ნიშნავს, რომ ამერიკელებმა ხელი აიღეს თავიანთ გეგმებზე. როგორც დღეს „ტაიმსის" ვაშინგტონელი კორესპონდენტი წერს, ინგლისის წინადადებათა განხორციელებას მოუნდება გაცილებით მეტი დრო, ვიდრე ეს სურთ ამერიკის შეერთებულ შტატებს, და შესაძლოა დაკავშირებული იყოს მთელ რიგ პოლიტიკურ დაბრკოლებებთან.

კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ, ამერიკელთა წრეების აზრით, არის შესაძლებლობა შეათანხმონ ცვლილებები ამერიკის გეგმაში, რათა დააკმაყოფილონ ინგლისის მოთხოვნები, „მაგრამ ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რა მოქნილობას გამოიჩენს ვილსონი ვაშინგტონში ვიზიტის დროს. (მოელიან, რომ ინგლისის პრემიერი მომავალ თვეში გაეგზავრება იქ. — კორ. შენიშვნა).

„პრემიერ-მინისტრი. — აცხადებს კორესპონდენტი. — ძნელ უნდა იყოს აგრეთვე იმისათვის, რომ მოლაპარაკების შედეგები შეიძლება აღმოჩნდეს არა ისეთი, როგორიც მას ამჟამად წარმოუდგენია".

ამ რეპლიკის მრავალმნიშვნელოვანი ტონი ეხმიანება „შეშფოთებას, რომელსაც დღეს გაზეთი „დეილი უორკერი" გამოთქვამს გორდონ-უოკერის მოგზაურობის შედეგების გამო. გაზეთის დიპლომატიური მიმომხილველი აღნიშნავს: ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის შენიშვნა იმის შესახებ, რომ ინგლისის შედავება ეხებოდა მრავალმხრივი ატომური ძალების პირვანდელ პროექტს, ხოლო „დიდი უთანხმოებანი" ინგლისს შეერთებულ შტატებთან არა აქვსო, გვაფიქრებინებს, ვაი თუ ინგლისმა „დაუთმო ამერიკის შეერთებული შტატების ზემოქმედებას".

კოსმოსური პლანერი

ნიუ-იორკი, 28 ოქტომბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალებმა გუშინ კენედის კონცხიდან განახორციელეს „კოსმოსური პლანერის" საცდელი გაშვება.

„კოსმოსური პლანერის" გაშვების 25 წუთის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო საჰაერო ძალების სარდლობამ გამოაცხადა, რომ პლანერი ატლანტის ოკეანეში ჩავარდა დაახლოებით 900 მილზე კენედის კონცხის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ფრენა დაახლოებით 15 წუთს გაგრძელდა. პლანერის გადარჩენა არ იყო გათვალისწინებული დასახული პროგრამით.

სუდანის პრეზიდენტის განცხადება

კაირო, 28 ოქტომბერი. (საკდესი). სუდანის პრეზიდენტმა იბრაჰიმ აბუდამ, რომელიც გუშინ გამოვიდა პრეს-კონფერენციაზე ხართუმში, განაცხადა, რომ განზრახული აქვს შეადგინოს რესპუბლიკის ახალი მთავრობა, ამას იუწყება მენის საგენტო. აბუდამ თქვა, რომ გამართა მთელი რიგი კონსულტაციები ზოგიერთ მოღვაწესთან, რათა შექმნას ეროვნული გარდამავალი მთავრობა.

მიფრინავს „კოსმოსი-50"

საკდესის ცნობა

1964 წლის 28 ოქტომბერს საბჭოთა კავშირში განხორციელდა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის „კოსმოსი-50" მორიგი გაშვება.

თანამგზავრზე დადგმულია სამეცნიერო აპარატურა, რაც განკუთვნილია იმისათვის, რომ განაგრძოს კოსმოსური სივრცის კვლევა ამ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

— მიმოქცევის საწყისი პერიოდი — 88,7 წუთი;

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) 241 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 196 კილომეტრი;

— ორბიტის დახრილობის კუთხე ეკვატორის სიბრტყის მიმართ — 51 გრადუსი 18 მინუტი.

დადგმული სამეცნიერო აპარატურის გარდა თანამგზავრზე არის:

— რადიოგადამცემი, რომელიც მუშაობს 19,996 მეგაჰერცი სიხშირით;

— რადიოსისტემა ორბიტის ელემენტების ზუსტი გაზომვისათვის;

— რადიოტელემეტრიული სისტემა, რომელიც დედამიწაზე გადმოსცემს მონაცემებს ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს.

საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი აწარმოებს მიღებული ინფორმაციის დამუშავებას.

სანლებს აშენებენ... საამქროში

ლენინგრადელ მშენებელთა დელეგაცია თბილისში

საქართველოს პროფსაბჭოსა და სამშენებლო ინდუსტრიის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის მოწვევით თბილისში სტუმრად ჩამოვიდა ლენინგრადის მშენებელთა დელეგაცია. ეს ლენინგრადელთა საპასუხო ვიზიტია. წელს ოფსულში ლენინგრადში ქართველი მშენებლები იყვნენ და მაშინვე გადაწყვიტეს ეს შეხვედრები ტრადიციად გადაექციათ.

ლენინგრადელთა დელეგაციის შემადგენლობაში არიან ლენინური პრემიის ლაურეატი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი პ. ბოჟენოვი, სოციალისტური შრომის გმირი, ნოვატორი მუშა ვ. კუკინი, „ლენპროექტის" მთავარი ინჟინერი ზ. კაპლუნოვი, პროფესორი ნ. სმირნოვი და სხვები. სულ 18 კაცი.

ლენინგრადელ მშენებელთა დელეგაცია თბილისში 27 ოქტომბერს გვიან ღამით ჩამოვიდა, დილით კი სტუმრები უკვე შეუდგნენ თავიანთი შვიდი დღის სამუშაო პროგრამის შესრულებას.

საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს მცირე დარბაზში ლენინგრადელებს მიესალმა ცნობილი საბჭოთა მეცნიერი, აკადემიკოსი კ. ზავრიევი.

— თქვენ შესაძლებლობა გექნებათ, — თქვა აკადემიკოსმა,— გაეცნოთ თბილისისა და რუსთავის ახალშენებებს, სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოებს. თქვენგან მოველით ჩვენი მუშაობის შეფასებას, მეგობრულ რჩევას.

დელეგაციის ხელმძღვანელმა, პროფესორმა პ. ბოჟენოვმა თქვა, რომ თბილისელ მშენებელთა პირველი ვიზიტი ლენინგრადში სასარგებლო იყო და გამოიქვა რწმენა, რომ ლენინგრადელთა ვიზიტი საქართველოს დედაქალაქში ასევე წარმატებითი იქნება.

თერმეტი საათი ხდებოდა. სტუმრების „სამუშაო" დღე დაიწყო... კორესპონდენტებთან საუბრით. ჩვენ შეკითხვით მივმართეთ პროფესორ პ. ბოჟენოვს.

— გთხოვთ მოგვითხროთ ლენინგრადელი მშენებლების წარმატებებზე.

— ამაზე უკეთ თვით წარმოების მუშაკები გეტყვიან, გვიპასუხა პ. ბოჟენოვმა და „ლენინგრადმთავარმშენის" № 20 ტრესტის მთავარ ინჟინერ ლ. რაინუსზე მიგვითითა.

— ჩვენს ქალაქში, — გვითხრა ლ. რაინუსმა, — ექვსი სახლთსაშენებელი კომბინატია, რომლებიც წელიწადში აშენებენ 800 ათას კვადრატულ მეტრს საცხოვრებელ ფართობს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ლენინგრადელები ყოველწლიურად მარტო „სამშენებლო საამქროებიდან" იღებენ 26 ათასზე მეტ ბინას.

ლ. რაინუსმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახლა ლენინგრადში ძირითადად აშენებენ მრავალსართულიან საცხოვრებელ შენობებს. ეს აიაფებს მშენებლობას.

— რამდენ ხანს შენდება სახლი?

— ცხრასართულიანი, 240-ბინიანი, მსხვილპანელიანი შენდება რვა თვეში, აგურისა — ერთ წელიწადში, გვიპასუხა ლენინგრადის სამშენებლო ინდუსტრიის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ა. კლიაჩკომ, — მაშინ როცა სახმშენის ნორმებით გათვალისწინებულია 14-16 თვე.

ლენინგრადელი მშენებლების სანატერესო სიახლე გაგვაცნო ლ. რაინუსმა. საქმე ეხება სამოლოო პროდუქციის ბრიგადებს. ეს ნიშნავს, რომ შენობის აგება ორ ეტაპად ხორციელდება — მონტაჟი და მოპირკეთება. ამ სამუშაოს ასრულებს ორი კომპლექსური ბრიგადა. სამოლოო პროდუქციის ბრიგადები ხელს უწყობენ შრომის ნაყოფიერების ზრდას, მექანიზმების უკეთ გამოყენებას, ამცირებენ მშენებლობის ვადას.

28 ოქტომბერს ლენინგრადელებმა დაათვალიერეს ბარათაშვილის სახელობის ხიდის მშენებლობა, ნაშუადღეს კი ლენინგრადელთა დელეგაცია მიიღო თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ შ. ბუხრაშვილმა. (საქდესი).

• • •

სურათზე: ლენინგრადელი სტუმრები ეცნობიან ბარათაშვილის სახელობის ახალი ხიდის მაკეტს.

ფოტო შ. კვირიკაშვილისა.

უკანასკნელ საათის

მკითხველი გვთავაზობს გვირჩევს, ამხილებს

ამ გვერდზე წაიკითხეთ:

დაპარგული ვენახის საფასურისა და დამარხული განძის შესახებ

კურორტი შოვი და უწერა

მეტი ყურადღების ღირსია

დეპუტატი თავის ამომრჩევლებთან

ვენახი გარჯის სალარო

აი რა ზარალს იძლევა ვაზის მეჩხერიანობა

თელავის საწარმოო სამმართველოში შემავალ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ისევე, როგორც მთელ რესპუბლიკაში, სისტემატურად ტარდება ღონისძიებანი ვენახების ფართობის და ყურძნის მოსავლიანობის ზრდისა და ღვინის პროდუქციის მნიშვნელოვანი გადიდებისთვის, რომლის მიზანია კილოგრამი ყურძნის თვითღირებულების შემცირება. მაგრამ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე არ არის. ამის დასადასტურებლად მოვიყვანთ სანიმრის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობის მაგალითს, რომელიც მოწინავეა რესპუბლიკაში.

ვენახის სიმეჩხრით გამოწვეული ზარალის გაანგარიშება სანიმრის კოლმეურნეობაში ასეთ სურათს გვაძლევს:

აღნიშნულ კოლმეურნეობაში საერთო ვენახის ფართობი გასულ წელს 175 ჰექტარი იყო. აქედან მოსავლიანია 120 ჰექტარი.

მოსავლიან ვენახში საშუალოდ, აგროწესების მიხედვით, ჰექტარზე 3.530 ძირი ვაზი უნდა იყოს, ფაქტიურად კი არის 2.980 ძირი. ყოველ ჰექტარზე საშუალოდ 550 ძირი ვაზი აკლია.

სულ 120 ჰექტარ მოსავლიან ვენახში უნდა იყოს 423.600 ძირი ვაზი, ფაქტიურად არის 357.600 ძირი, მთელ ფართობზე აკლია 66.000 ძირი, ანუ 18,7 ჰექტარი.

1962 წელს ყურძენი მიღებულ იქნა სულ 957.100 კილოგრამი, საშუალოდ 1 ჰექტარ სრულმოსავლიან ვენახზე — 90 ცენტნერი, ანუ ერთ ვაზზე 3.02 კილოგრამი. აქედან ნათლად ჩანს, რომ ერთ ჰექტარზე სიმეჩხრის გამო დაიკარგა 1.661 კილოგრამი ყურძენი, ანუ მთელ 120 ჰექტარზე — 199.320 კილოგრამი.

1962 წელს კოლმეურნეობამ მიიღო და სახელმწიფოს მიჰყიდა 957.100 კილოგრამი ყურძენი, რაშიც სახელმწიფოსაგან მიიღო 380.025 მანეთი, ანუ საშუალოდ 1 კილოგრამზე 0,40 მანეთი. სიმეჩხრისაგან დანაკლისი ყურძნის ღირებულება 79.728 მანეთია.

1962 წელს მოსავლიან ჰექტარ ვენახზე ფაქტიური დანახარჯი იყო 1.451 მანეთი. ეს თანხა რომ გავყოთ ერთ ჰექტარზე, როცა ჰექტარზე 3.530 ძირი ვაზია, თვითეულ ვაზზე დანახარჯი უდრის 041 მანეთს, ერთ ჰექტარზე კი აკლია 550 ძირი. მაშასადამე, თვითეულ ჰექტარზე ზედმეტად იხარჯება 225 მანეთი. სულ 120 ჰექტარ მოსავლიან ფართობზე ზედმეტად იხარჯება 27.060 მანეთი.

ახლა ვიანგარიშოთ, რა სურათი იქნებოდა მაშინ, სიმეჩხრე რომ მოგვესპო. ნორმით გათვალისწინებული ვაზი 100 პროცენტით რომ იყოს შევსებული, მაშინ კოლმეურნეობა 120 ჰექტარი ვენახიდან დამატებით 79.728 მანეთს მიიღებდა, ამასთან ზედმეტად არ უნდა დახარჯულიყო 27.060 მანეთი.

სიმეჩხრის გამო მიღებული ზარალი უდრის 106.788 მანეთს. სიმეჩხრე რომ ლიკვიდირებულ იქნას, შრომის ნაყოფიერება გაიზრდება 17,3 პროცენტით, ანუ 459.758 მანეთით.

შარშანწინ ერთ ჰექტარზე დანახარჯი უდრიდა 1.451 მანეთს, ყურძენი მიღებული იყო 90 ცენტნერი, ანუ ერთი ცენტნერის თვითღირებულება 16,12 მანეთს უდრიდა.

სიმეჩხრე რომ მოგვესპო, იმავე დანახარჯით უნდა მიგვეღო ერთ ჰექტარზე 106,61 ცენტნერი ყურძენი. მაშინ ყურძნის თვითღირებულება 13,61 მანეთი იქნებოდა, ანუ ერთ ცენტნერზე 2,51 მანეთით ნაკლები.

აღნიშნულ კოლმეურნეობაში გამეჩხერებულია ახალი ვენახებიც, რაზეც უქმად იკარგება შრომა.

1962 წელს პასპორტიზაციის მიხედვით თელავის საწარმოო სამმართველოს ეთვლება 6.656,83 ჰექტარი ვენახის ფართობი 18.404.656 ძირი ვაზით. აქედან კოლმეურნეობებშია 4.040,86 ჰექტარი 10.493.595 ძირით, აკლიათ 3.659.697 ძირი ვაზი. საბჭოთა მეურნეობებს ეთვლებათ 2.554,04 ჰექტარი ვენახი 7.725.152 ძირი ვაზი. აკლიათ 1.299.120 ძირი. აქედან კარგად ჩანს, რომ დაახლოებით 1.500 ჰექტარი ფართობი გაცდენილია. სამმართველოში სრულმოსავლიანი ვენახის ფართობი უდრის 4.444 ჰექტარს. ვენახის ეს ფართობი 25 პროცენტით გამეჩხრებულია. თუ ვიანგარიშებთ მხოლოდ თელავის რაიონის კოლმეურნეობათა დანაკარგს, ასეთ სურათს მივიღებთ: ვენახის შემოსავალი 1961 წელს უდრიდა 4.672.000 მანეთს. სიმეჩხრე რომ არ ყოფილიყო, შემოსავალი 6.229.300 მანეთი იქნებოდა. ე. ი. მხოლოდ სიმეჩხრით 1.557.300 მანეთი დაიკარგა. ამას ემატება გაცდენილი ადგილის უსარგებლო დამუშავება 900 ჰექტარზე.

თელავის საწარმოო სამმართველოში 1962 წელს ვენახის შემოსავალმა 5.097.000 მანეთს მიაღწია. ეს გაანგარიშება გვიჩვენებს რომ სიმეჩხრის გამო 1.699.000 მანეთი დაიკარგა. ამას ემატება გაცდენილი 1.100 ჰექტარის დამუშავებაზე გაღებული ხარჯები, რამაც 911.328 მანეთი შეადგინა. ამის საფუძველზე ჩვენ ერთხელ კიდევ დავწმუნდით იმაში, რომ დოც. გ. მანჯავიძის მეთოდი მისაბაძია. იგი აუცილებლად უნდა დაინერგოს წარმოებაში, რის შესახებაც სამართლიანად და დროულად მიგვითითა საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა თავისი დადგენილებით. ამისათვის საჭიროა უახლოესი ერთი წელი მევენახეობაში ძირითადად დავუთმოთ სიმეჩხრის სრულ ლიკვიდაციას არსებულ ვენახებში.

ამ ღონისძიების გატარებით დაიზოგება მილიონობით მანეთი თელავის საწარმოო სამმართველოში, რესპუბლიკაში კი — უფრო მეტი.

საჭირო იქნება მევენახეობის შემდგომი განვითარებისათვის სადედე და სანერგე მეურნეობის მოწესრიგება, რომელიც ჯერ კიდევ სათანადო ყურადღებით არ სარგებლობს. თელავის საწარმოო სამმართველომ მარტო გასულ წელს რესპუბლიკის გარეთ შეიძინა 2.100.000 ცალი ვაზის ნერგი. განა ეს შესაწყნარებელია?

ჩვენ ვიცით, რომ სადედე და სანერგე მეურნეობა კარგი მოვლა-პატრონობის პირობებში შემოსავლით ვენახს არ ჩამორჩება. ამიტომ ამ საქმეს მთელი სერიოზულობით უნდა მოვეკიდოთ.

1961 წელს თელავის რაიონის კურდღელაურის კოლმეურნეობამ სადედედან თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 3.000 მანეთი მიიღო. ჩვენი წინადადებაა შეიქმნას ერთი მსხვილი მეურნეობა, რომელიც თავისუფლად მოამარაგებს კახეთის რაიონებს ვაზის ნერგით.

ვენახი ყოველთვის ქართველი ხალხის პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა. ილია ჭავჭავაძე ამბობდა:

„ვენახსა და ხილნარს შიგ ჩატანილი აქვს განძსავით წინაპართა მთელი ჯაფა, მთელი მხნეობა და მთელი მეცადინეობა. ამიტომაც ჩვენებურ გლეხკაცს ვენახი და ხილნარი მარტო გამორჩომის წყაროდ კი არ მიაჩნია, არამედ იმ წიმნდა აუზადაც, სადაც მის მამა-პაპას თავისი ოფლი მოუდენია და მიუბარებია საშვილიშვილოდ. ჩვენებური გლეხკაცის თვალში მის ვენახს, მის ხეხილის ბაღს, მის ნაფუძარს თავისი ისტორია აქვს, მართალია — ბუნდი, წარსულის ღრუბლებისაგან გამოურკვეველი, მაგრამ ღრმად კი ჩაქედილი გულში, რომ ვენახი, ხეხილის ბაღი სალარაო მის წინაპართა ჯაფისა, გარჯისა და მხნეობისა“.

ჩვენი მევენახეების ვალია ეს განძი ხალხის სამსახურში ჩავაყენოთ.

დოცენტი ნ. მალუძე.

როდემდის გაგრძელდება ასე?

ამ ორი თვის წინათ წყალდიდობის გამო მდინარემ დაანგრია ბაისუბან-კაბლისა და ორჯონიკიძე-აფენის საზღვარზე არსებული სასოფლო ხიდები, რომლებიც მეტად საჭირო იყო ლაგოდეხ-აფენის მიმართულებით მოსიარულე მგზავრებისათვის.

დაინგრა ხიდები, და აღარავინ ფიქრობს მათ აღდგენაზე.

ახლა ტრანსპორტს მოძრაობა უხდება ამ ხიდების შორი მანძილიდან შემოვლით, მაგრამ როცა მდინარეები ადიდდება, ავტომანქანებს დიდი გაჭირვებით უხდებათ მდინარეში გავლა, ხშირად წყალშიც რჩებიან.

სანიტარესა, და ფიქრობენ ყვარლის რაისაბჭოს აღმასკომის საგზაო განყოფილების, ბაისუბნის, ორჯონიკიძის ან აფენის სასოფლო საბჭოს აღმასკომის მესვეურები? რას ან ვის ელოდებიან? ნუთუ არ იციან, რომ ამ მდინარეებში გამვლელი ან მდინარეში „მობანავე“ აუარაფელი მგზავრების, ავტომანქანის მძღოლების უზომო გულისწყრომასა და ათას საყვედურს იწვევენ.

იქნებ ამ წერილის შემდეგ მაინც იფიქრონ, რომ დანგრეულ ხიდს აღდგენა სჭირდება.

ვ. კაბლელი.

ამ გვერდზე

დეპუტატი თავის ამომრჩევლებთან

დაკონსერვებული გამოგონება

ვლატონ მაქსიმესძე თოთაძე ქალაქ წულუკიძის საკონდიტერო საწარმოში ოსტატად მუშაობს. მასზე ამბობენ, მოუსვენარი აზრის ადამიანიაო. სწორია.

თითქმის ორი ათეული წელია იგი თავის საყვარელ საქმეზე მუშაობს. რა არ გამოიგონა, რა არ მოიფიქრა და გააკეთა, რომ მეკონდიტრისათვის შრომა შეემსუბუქებინა, არამატიან და ტკბილ ნამცხვართა ოსტატების შრომა მექანიზმების მუშაობით შეეცვალა.

საკონდიტრო საწარმოში იდგა პრინმატიული ღუმელი, რომელსაც ბევრი საწვავი — მაზუთი სჭირდებოდა, ხოლო ამასთანავე გახურების შემდეგ ცხობისათვის საკმარის ტემპერატურასა ორიოდე საათსაც ვერ ინარჩუნებდა. პლატონ თოთაძემ პირადი დაკვირვების შედეგად ჯერ კიდევ 1960 წელს შეიმუშავა ღუმელის უფრო მოხდენილი კონსტრუქცია, საქმეს თვითონვე ჩაუდგა სათავეში, მას მხარი დაუჭირეს იმათ, ვისზეც დამოკიდებული იყო სათანადო ხარჯების გაწევა...

და აი შედეგიც. ახლა ღუმელში 24 საათის განმავლობაში შენარჩუნებულია ცხობისათვის საკმარისი ტემპერატურა. დაცულია სანიტარული რეჟიმი, ღუმელი წარმატებით მუშაობს, შემცირდა საწვავის ხარჯი და საგრძნობლად გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი. ეს იყო პლატონ თოთაძის პირველი წინადადება, რამაც მაშინ მაღალი შეფასება მიიღო. ასეთი სისტემის ღუმელი პირველად დაიდგა ცეკავშირის საწარმოთა სისტემაში.

ტორტი საკონდიტრო ნაწარმთა ასორტიმენტში ფართოდ გავრცელებულია. მაგრამ ყველასათვის როდია ცნობილი, რომ ახალი ტექნიკით აღჭურვილ საკონდიტრო ფაბრიკემშიც კი, ტორტის გაფორმება დღემდე ხელით წარმოებს. ბევრმა მეკონდიტერე სპეციალისტმა, ბევრმა ინჟინერმა და გამომგონებელმა სცადა ტორტის გაფორმების მექანიზაციის განხორციელება, მაგრამ უშედეგოდ. ამ საკმაოდ მნიშვნელოვანი პრობლემის პროგრესულად გადაწყვეტის პრიორიტეტი წილად ხვდა პლატონ თოთაძეს. მან წულუკიძეში კუსტარულ საკონდიტერო საწარმოში დაამზადა თავისი გამოგონებული მანქანა, მოაწყო მისი გამოცდა და სასურველ შედეგსაც მიაღწია.

გამოცდამ გვიჩვენა, რომ პ. თოთაძის სისტემის მექანიზმის გამოყენებით კონდიტრის შრომის ნაყოფიერება იზრდება 70-80 პროცენტით და მნიშვნელოვნად უმჯობესდება პროდუქციის ხარისხი.

გამოგონება მოიწონა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა გამოგონებათა და აღმოჩენათა საქმეების სახელმწიფო კომიტეტმა. მან მრავალი ტორტების გაფორმების პროცესის მექანიზაციის დარგში პრიორიტეტი პლატონ თოთაძეს მიანიჭა.

ეს კარგია, მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ გამოგონებას ჯერჯერობით საკმაო ყურადღებას არ აქცევენ სათანადო უწყებები. პირველ რიგში ცეკავშირი უნდა იყოს დაინტერესებული ამ სიახლის დანერგვით, ცეკავშირის ხელმძღვანელებმა უნდა დაუჭირონ მხარი, უნდა დაეხმარონ გამომგონებელს მანქანის საცდელი ნიმუშის დამზადებაში. სამწუხაროდ ეს დახმარება ჯერჯერობით არ სჩანს.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, ცეკავშირმა არაფერი იცის აღნიშნული გამოგონების შესახებ, თორემ უთუოდ გამოეხმაურებოდა, როგორ შეიძლება ასეთ სიახლეს დუმილით შეხვედროდა. გაზეთ „კუტაისსკაია პრავდის“ რედაქციამ ჯერ კიდევ 1963 წლის სექტემბერში ცეკავშირის გამგეობის სახელზე გაგზავნა პ. თოთაძის გამოგონების თაობაზე გაზეთის ფურცლებზე დაბეჭდილი წერილი და სპეციალური მიმართვა, რომელშიც სთხოვდა დახმარებოდა გამომგონებელს მანქანის საცდელი ნიმუშის დამზადებაში. მაგრამ დახმარება კი არა, წერილზე პასუხიც არ სჩანს.

გაზეთ „საქართველოს კოოპერატორმაც“ 1963 წლის 82-ე ნომერში სათაურით „კოოპერატორი-გამომგონებელი“ მოთავსა კორესპონდენცია, რომელიც მაღალ შეფასებას აძლევდა პ. თოთაძის აქტამად უკვე ხორცშესხმულ ჩანაფიქრს.

ახლა, როცა გამომგონებელს ხელთ აქვს საავტორო მოწმობა, როცა იგი აღიარებულია საკავშირო მნიშვნელობის სიალმედ, საკვირველია ცეკავშირის გამგეობის დუმილი.

მ. ნინუა,
გაზეთ „კუტაისსკაია პრავდის“ რედაქტორის მოადგილე.

ამომრჩეველთა სამართლიანი წინადადებანი

ბულისხმიერება, მშრომელ ადამიანებთან სიახლოვე, მათი ყოველდღიური ცხოვრების ცოდნა — უწინარეს ყოვლისა აი რა უნდა ახასიათებდეს დეპუტატს, თუ მას სურს ნამდვილად ასრულებდეს თავის დიდ და საპატიო მოვალეობას — ემსახუროს ხალხს.

ამას წინათ ერედვში შევხვდი ჩემს ამომრჩევლებს. მართალია, მათ შორის გავიზარდე, ყოველდღე მათ გვერდით მიხდება შრომა, მაგრამ იმ წუთებში მაინც ვდელავდი, ვფიქრობდი იმაზე, თუ რა მეთქვა ამომრჩევლებისათვის, როგორი ანგარიშით წარვმდგარიყავი მათ წინაშე.

ხელთ მქონდა ჩვენი რესპუბლიკის, აგრეთვე ოლქის სახალხო მეურნეობის განვითარების 1963 წლისა და 1964 წლის მესამე კვარტალის გეგმის შესრულების შედეგები, ერედვის საბჭოთა მეურნეობის სამეურნეო მდგომარეობის მაჩვენებლები.

მაგრამ მთავარი ადგილი საუბარში მაინც ჩემს საყვარელ საქმეს — მწველავის შრომას დავუთმე.

გასულ წელს ჩემზე მომაგრებული ადგილობრივი ჯიშის 15 ფურიდან მივიღე და უდანაკარგოდ გავზარდე ამდენივე ხბო, 1.750 კილოგრამის ნაცვლად საშუალოდ ერთზე მოწველე 2.007 კილოგრამი რძე.

მიმდინარე წელს ვალდებულება ვიკისრე თვითეულ ფურზე მივიღო და შევინარჩუნო თითო ხბო, მოვწველო 2.100 კილოგრამი რძე. 15 ოქტომბრისათვის უკვე მიღებული მქონდა 1.525 კილოგრამი რძე, 55 კილოგრამით მეტი, ვიდრე შარშან ამ დროისათვის. საშუალოდ ერთ ფურზე დღეში 10 და მეტ კილოგრამ რძეს ვწველი.

ჩემი საუბარი იმით დავამთავრე, რომ დამაწერეთ უფრო მეტის გაკეთება აღვუთქვი.

შემდეგ ამომრჩეველმა ო. ქელეხსაშვილმა ყველა ერედველი ამომრჩევლის სახელით, როგორც დეპუტატს, მთხოვა სათანადო ორგანოების წინაშე დამეყენებინა საკითხი ერედვის სამედიცინო უბანში ექიმის დანიშვნის შესახებ.

ადრე ერედვში იყო ექიმი. ამ ბოლო დროს კი რატომღაც სოფელი უექიმოდ დარჩა. ერთხანს შესაფერისი შენობის უქონლობას აბრალებდნენ ყველაფერს. ახლა შენობა არის, ექიმი კი არა. ასე რომ 3 ათასზე მეტი ადამიანი უექიმოდ არის დატოვებული. სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ შ. ტურაშვილმა ილაპარაკა იმაზე, რომ ერედვის საშუალო სკოლა შეუფერებელ, ნახევრადდანგრეულ შენობებშია მოთავსებული, ამასთან დაქირავებული აქვთ რამდენიმე საკლასო ოთახი. დროა სათანადო ორგანიზაციებმა იზრუნონ სკოლის მშენებლობისათვის.

ამომრჩეველთა ეს მოთხოვნა სავსებით კანონიერია. ენერგიას არ დავზოგავ იმისათვის, რომ მივაღწიო მის წარმატებით გადაჭრას, რათა ამით მოვიხადო ჩემი, როგორც ხალხის მსახურის მოვალეობა.

ნ. ვახტანგიშვილი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ნოღაის ველისაკენ

დარიალის ხეობით ნოღაეთის საზამთრო საძოვრებისაკენ უწყვეტ ნაკადად მიემართება დუშეთის, ყაზბეგის, ლენინგორისა და თიანეთის რაიონების კოლმეურნეობათა ცხვრის ფარები.

მთელი 600-კილომეტრიანი ტრასა თეთრ ქარავნებს დაუპყრიათ. ვეტერინარული და საექიმო მომსახურება აქ მაღალ დონეზეა. ცხვრის გასათვლელ და დასასვენებელ პუნქტებში მწყემსებს მომსახურებას უწევენ სპეციალურად გახსნილი სავაჭრო წერტილი, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიაში ამილუყის დასასვენებელ პუნქტში მწყემსებს რეგულარულად უჩვენებენ კინოფილმებს. ისინი რადიოგადაცემებსაც ისმენენ.

საზამთრო საძოვრებზე ცხვრის გადაყვანის ორგანიზებულობით გამოირჩევიან დუშეთის რაიონის — მთიულეთის, მლეთის, ფასანაურის, ხეობის; ყაზბეგის რაიონის — ყაზბეგის, გორისციხის; ლენინგორის რაიონის — უკანამხარის და სხვა კოლმეურნეობები.

ერთ ცხვარზე 3 კილოგრამი მატყლი, 4 კილოგრამი ყველი! — ასეთია ლენინგორის რაიონის სოფელ უკანამხრის კოლმეურნეობის მეცხვარეთა განვლილი ზაფხულის შრომის შედეგი. ამ კოლმეურნეობათა ცხვრის ფარებმა რამდენიმე დღეა რაც მდინარე თერგი გადალახეს, იშჩორაზე გაივაკეს და უკვე გავიდნენ ნოღაეთის ტრამალებში.

უკან დარჩა იალაღები, ჯვრის უღელტეხილი, მეცხვარეები დაემშვიდობებიან კავკასიონის მწვერვალებს, მალე ნოღაეთში დაბინავდებიან და ცხვარს იქ გამოაზამთრებენ.

ვლ. ქისტაური,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების სტუდენტი.

სურათებზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) მწყემსი გზიდან წერილს სწერს თავისიანებს; ლენინგორის რაიონის სოფელ უკანამხრის ცხვრის ფარებმა ნოღაეთის ველზე გაივაკეს; შესვენება გზაში.

ფოტო ავტორისა.

გვეძახის მთა და ხეობა

რაჭა საქართველოს ერთ-ერთი მდიდარი და ლამაზი კუთხეა. ბუნების სხვა სიმდიდრეთა შორის ეს მხარე დაჯილდოებულია საუკეთესო საკურორტო ადგილებით. ზემო რაჭის ცნობილი მაღალმთიანი კურორტები შოვი და უწერა თავიანთი საკურორტო ღირსებით არ ჩამოუვარდებიან მსოფლიოში ცნობილ შვეიცარიის მაღალმთიან კურორტებს დაოსს და არროზს. ამიტომ ამ მიდამოებმა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში მიიპყრო სახელმწიფოს ყურადღება, და დაიწყო მათი გამოყენება საკურორტო მიზნით.

ჯერ კიდევ 1924 წელს ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და ექიმის შამშე ლეკავას ინიციატივით კურორტი დაპროექტებულ იქნა და შეუდგნენ მშენებლობას. თავიდანვე განხრახული იყო კურორტის გამოყენება წლის მთელ პერიოდში. სამწუხაროდ, ლენინი კურორტები შოვი და უწერა გამოყენებულია მხოლოდ სეზონურად (4 თვის განმავლობაში ივნისიდან ოქტომბრამდე), მაშინ როდესაც სათანადო ღონისძიებათა გატარებით საესებით შესაძლებელია აქ მთელი წლის განმავლობაში მიიღონ დამსვენებლები, შეუქმნან შრომელებს სახაფხულო და სანამთრო დასვენების და მკურნალობის კარგი პირობები.

შოვი მაღალმთიანი კურორტია, მდებარეობს შავი ზღვის დონიდან 1650 მეტრ სიმაღლეზე მდინარე ჭანჭახის ოვალწარმტაც ხეობაში, მამისონის ეროვნებრივის ახლოს. ქუთაისიდან შოვამდე საავტომობილო გზით 147 კილომეტრია, თბილისიდან — 243. ქუთაისიდან შეიძლება მგზავრობა ვერტმფრენავიონაც (სულ 35-40 წუთის საფრენია), არის აგრეთვე მიმოსვლის საშუალება ქ. ორჯონიკიძიდან მამისონის ეროვნებრივზე გადავლით. ჰაეთა და სალამურით შოვი საბჭოთა კავშირის მაღალმთიან კურორტებს შორის საუკეთესოა.

წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყის მასივები, ბალახით აბიბინებული ალპებისა და თოვლით შემოსილი მწვერვალების შეზავებული ჰაეა, გრილი ზაფხული (საშუალო სადღეღამისო ტემპერატურა 14-15 გრადუსია) და თბილი ზამთარი (სიცივე არ აღემატება — 5 გრადუსს) ხშირი მზიანი დღეები, ძვირფასი მინერალური წყაროები, ყოველივე ეს შოვს კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტის ძვირფას თვისებებს ანიჭებს.

მშვენიერი ჰაეა და საამური წყაროს ცივი წყლები სასარგებლოდ მოქმედებენ მთელ რიგ დაავადებათა წინააღმდეგ და ქმნიან საუკეთესო პირობებს ჯანმრთელი ადამიანის დასვენებისა და ავადმყოფთა გაჯანსაღებისათვის.

კურორტი განსაკუთრებით კარგ შედეგებს იძლევა სასუნთქი ორგანოების არა ტუბერკულოზური დაავადების, სისხლნაკლებობის, კუჭ-ნაწლავის (ქრონიკული გასტრიტით, კოლიტით და ხოლეცისტიტით) დაავადების მკურნალობისათვის.

შოვში მზის ნათების ხანგრძლივობა წლიურად 2.100 საათამდე აღწევს, რაც მნიშვნელოვნად აღემატება ჩვენი მაღალმთიანი კურორტების — აბასთუმნის, ბაკურიანის, აგრეთვე შვეიცარიის განთქმული კურორტების დაოსის და არროზის მზის ნათების ხანგრძლივობას. ზამთრობით თოვლით დაფენილი ფერდობებიდან არეკლილი მზის სხივები ულტრაიისფერ სფეროს ქმნიან, ზაფხულობით კი ცამდე აზიდული ნაირნაირი ტყის მასივები, ალპური მდელოები, მოჩუხჩუხე ჩანჩქერები და ნაკადულები, თოვლის საფარველში გახვეული მწვერვალები.

ამჟამად კურორტ შოვს ერთდროულად შეუძლია მიიღოს 340 დამსვენებელი. კურორტზე არის აგრეთვე კოტეჯების ტიპის რამდენიმე სახლი ოჯახით დამსვენებელთათვის.

კურორტი 4 თვეს მუშაობს და მისი სეზონური გამტარუნარიანობა 3.600 კაცს შეადგენს.

უწერა მდებარეობს რაიონის ხეობაში. კურორტი გარშემორტყმულია წიწვოვანი მცენარეების ტყეებითა და მთებით. ჰაეა აქ თბილი და ზომიერად ნესტიანია.

როგორც ვახუშტი ბაგრატიონისა და ივანე ჯავახიშვილის შრომებიდან ჩანს, უწერის მინერალური წყლები და „სასუნთქელი მიწა“ (მიწაში ჩარჭობილი ლერწმით შეისუნთქავდნენ ნიადაგიდან ამონადენ სამკურნალო აირებს) ცნობილი და გამოყენებული ყოფილა სამკურნალოდ ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნიდან.

საუკეთესო კლიმატურ პირობებთან ერთად ამ კურორტის ძირითადი სამკურნალო საშუალებებია — რკინანახშირმჟავა, ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატულტუტიანი წყაროს წყლები.

წყაროები რეკომენდებულია სამშლის მომნელებელი ორგანოების, აგრეთვე თირკმლების დაავადების სამკურნალოდ. უწერაში ამჟამად სანატორიული ტიპის პანსიონატია 75 საწოლით.

ამავე ტრასაზე შოვთან ახლოს არის კეთილმოწყობილი 250-საწოლიანი ტურისტული ბაზა, რომელიც ემსახურება ორჯონიკიძე-ბათუმის მარშრუტის ტურისტებს.

აღნიშნული კურორტები და ტურისტული ბაზა 1 ოქტომბრიდან 1 ივნისამდე წყვეტენ მუშაობას და მთელი 8 თვის განმავლობაში მთლიანად გამოუყენებელია. ამის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ საავტომობილო გზა თოვლის ზვავებისაგან იკეტება. ზვავი გზას კეტავს ძირითადად ერთ ადგილზე — „სასადილო ზვავთან“, ზამთარში გავლა ძნელდება აგრეთვე კიდევ ორ ადგილზე. საჭიროა ამ ადგილებზე აიგოს არცთუ დიდი მეწყერდამცავი სპეციალური ნაგებობა, რომელიც დაიცავს გზას გადაკეტვისა და დაზიანებისაგან. ეს გაცილებით იაფი დაჯდება, ვიდრე დაკეტილი გზის აღდგენა გაზაფხულზე.

საავტომობილო გზას ონი-შოვის ტრასაზე შეკეთება და მზრუნველობა ესაჭიროება. გარდა აღნიშნული კურორტებისა და ტურბაზისა, ეს გზა აკავშირებს ამ ხაზზე მდებარე მთელ რიგ სოფლებს. საჭიროა მათაც გაეწიოს ანგარიში, ისინი კი თავის მხრივ მზად არიან შრომითი მონაწილეობა მიიღონ ამ საქმეში.

ზამთრის სეზონში კურორტების მუშაობისათვის საჭირო იქნება კორპუსებში თბილისა და ონის ელეფონის მოწყობა.

საერთოდ აღნიშნულ კურორტებს კეთილმოწყობა აკლია, წყაროები ძნელად მისავალია, კორპუსებს კაპიტალური რემონტი ესაჭიროებათ, არ არის სასპორტო მოედნები, საცურავი აუზები, მხატვრულად გაფორმებული გაზონები, ტყეში სასეირნო ბილიკები და სხვ.

ვისაც შოვის მიდამოები უნახავს, ადვილად შეუძლია წარმოიდგინოს რა სასიამოვნო იქნება აქ ზამთრობით თოვლზე თხილამურებით სეირნობა.

საჭიროა გაუმჯობესდეს აგრეთვე ელექტრომეურნეობის მომსახურება. ძალზე ჭიანურდება ამ კურორტების ჩართვა „საქენერგოს“ ქსელში.

საერთოდ კურორტს მზრუნველი ხელი აკლია. თანხა, რომელიც ყოველწლიურად კურორტის რემონტსა და კეთილმოწყობას ხმარდება, საკმარისი არ არის.

საჭიროა ამ მხარეში გაუმჯობესდეს საჰაერო სამგზავრო ტრანსპორტის საქმეც. თანამედროვე საჰაერო ფრენის ტექნიკის ბაზაზე შეიძლება ეს ტრანსპორტი უფრო რეგულარულად მუშაობდეს.

თუ ეს საკითხები მოგვარდება, შესაძლებელი იქნება კურორტმა შოვმა მთელი წლის მანძილზე მიიღოს დამსვენებლები.

ეკონომიურადაც გაუმართლებელია, რომ ყოველწლიურად 8 თვის განმავლობაში უქმად ცდება საკურორტო შენობების 6500 კვადრატული მეტრი ფართობი, 250-საწოლიანი ტურისტული ბაზა, რომელთაგან სახელმწიფომ შეიძლება მიიღოს 600 ათას მანეთამდე დამატებით შემოსავალი.

შოვი და უწერა მთელი წლის განმავლობაში უნდა იღებდნენ დამსვენებლებს. ამ სასარგებლო საქმის მოგვარებაზე დროულად უნდა იზრუნოს პირველ რიგში კურორტების მართვის რესპუბლიკურმა საბჭომ.

ინჟ. ვ. ჩაჩანიძე,
საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორი.

* * *

სურათზე: კურორტი შოვი. სანატორიუმის ტიპის დასასვენებელი სახლის პირველი კორპუსი, რომელიც აშენებულია 1924-1927 წლებში.

ფოტო ბინოსი.

კურორტები შოვი და უწერა წლის ყველა დროს უნდა იღებდნენ დამსვენებლებს

ჩვენ გვწერენ

△ **საჩხერის** რაიონის სოფელ გუნდაეთის რვაწლიან სკოლაში კულტურის ძეგლთა დაცვის პირველადს ორგანიზაციას ისტორიის მასწავლებელი ა. აასნიძე ხელმძღვანელობს. მისი თაოსნობით სკოლაში მოეწყო მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

აქ გამოფენილია უძველესი მონეტები, პალეოლითისა და ნეოლითის იარაღები, ბრინჯაოს ნივთები და იარაღები, გაქვავებული ცხოველები, ფეოდალური ხანის სიგელ-გუჯრები.

გრ. ფერეთელი.

△ „რიცა თვრამეტი წლისა ხარ“. ამ თემას — თუ როგორი უნდა იყოს საბჭოთა ახალგაზრდა — მიეძღვნა ახალგაზრდობის საღამო, რომელიც ამ დღეებში საქართველოს ალკაჯ ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა და გაზეთ „ქუთაისის“ რედაქციამ მოაწყეს.

მოხსენება თემაზე: „რიცა თვრამეტი წლისა ხარ!“ წაიკითხა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორმა ზ. წერეთელმა.

კამათში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდებმა.

მ. მეგრელიშვილი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

ეს არ არის ყურადღება, გულისხმიერება

ამ სათაურით „კომუნისტში“ დაიბეჭდა კრიტიკული წერილი, რომელშიც მხილებული იყო მაიაკოვსკის რაისაბჭოს აღმასკომში მშრომელთა წერილებისა და საჩივრებისადმი არაგულისხმიერი დამოკიდებულების ფაქტები. წერილთან დაკავშირებით მაიაკოვსკის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **შ. ჯოგლიძე** რედაქციას ატყობინებს:

რაისაბჭოს აღმასკომმა შექმნა კომისია „კომუნისტში“ დაბეჭდილ წერილში მოყვანილ ნაკლოვანებათა შესასწავლად და განიხილა თავის სხდომაზე. აღმასკომმა **სწორად ცნო** ბაზეთის კრიტიკა და დასახა ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების შესწავლისადმი არადამაკმაყოფილებელი კონტროლისათვის რაისაბჭოს აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგეს დ. რობაქიძეს მიეთითა, ხოლო მშრომელთა წერილების აღრიცხვაში დაშვებული ნაკლოვანებისათვის საერთო განყოფილების გამგეს ლ. ბაბუხადიას საყვედური გამოეცხადა. საყვედური გამოეცხადათ აგრეთვე შუამთის და ობჩის სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს ი. მამფორიას და გ. მშვილდაძეს, ხოლო რაისაბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის კომბინატის დირექტორს ს. ნატრიაშვილს მიეთითა.

როგორ ნიავდება სახალხო ქონება

გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილ წერილში დაყენებული იყო საკითხი ტყიბულის სავაჭრო ორგანიზაციებში ტარის მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების შესახებ. წერილთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილე **ო. იოსელიანი** რედაქციას ატყობინებს:

გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ წერილთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოს სსრ ვ

სოციალისტურ ქვეყნებში

საგზოთა სიმღერის დღესასწაული

სოფია. „ვრცელია ჩემი სამშობლო მხარე“ — ასე უწოდეს დიდ საღამოსასწაულო კონცერტს, რითაც საზეიმოდ გაიხსნა საბჭოთა სიმღერების კვირეული ბულგარეთში.

კონცერტს, რომელმაც უდიდესი წარმატებით ჩაიარა, დაესწრნენ დედაქალაქის მშრომელები, მუსიკალური საზოგადოებრიობის უამრავი წარმომადგენელი. კონცერტში მონაწილეობა მიიღო ცნობილმა ბულგარელმა საგუნდო კაპელამ „სვეტოსლავ ობრეტენოვმა“, ბულგარეთის ესტრადის პოპულარულმა მომღერლებმა, აგრეთვე საბჭოთა სტუმრებმა, კომპოზიტორებმა ო. ფელცმანმა და ა. ნოვიკოვმა და ესტრადის მომღერალმა იოსებ კობზონმა.

ახალი შახტები

პრაღა. ყოველწლიურად 15 მილიონ ტონა მურა ქვანახშირს მისცემს სამშობლოს ახალი ღია კარიერი, რომლის მშენებლობა დაიწყო ჩრდილოეთ ჩეხეთის ქვანახშირის აუზში.

ჩეხოსლოვაკიის ეს უდიდესი კარიერი აღჭურვილია უახლესი ჩეხოსლოვაკიური და საბჭოთა მანქანებით. კერძოდ, აქ ძუშავებს გიგანტური ექსკავატორი, რომელიც ერთ საათში ამოიღებს დაახლოებით 1.500 კუბურ მეტრ ქანს და შეცვლის თითქმის 2 ათას მეშახტეს.

ოსტრავა-კარვინის აუზში გაკეთდა ქვანახშირის რამდენიმე შახტი, მათ შორის ისეთი დიდი შახტები, როგორიცაა „პასკოვი“, „სტარეიჩი“ და ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდათა კავშირის სახელობის შახტები. თვითეულ შახტიდან ყოველწლიურად ამოიღებენ ბევრ რამდენიმე მილიონ ტონა ქვანახშირს.

უახლოეს დროში ამ აუზში დაიწყება ჩეხოსლოვაკიაში პირველი ჰიდროშახტის „ოდერსკის“ მშენებლობა, სადაც ქვანახშირის მოპოვება იწარმოებს მძლავრი ჰიდროწყალსაცემების საშუალებით.

ურნალისტთა კონფერენცია

ბერლინი. ბერლინში გაიხსნა სოციალისტური ქვეყნების პროფკავშირული გაზეთებისა და ჟურნალების მთავარი რედაქტორების კონფერენცია. კონფერენციის მონაწილენი იცნობიან სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ახალი ეკონომიური სისტემისა და ხელმძღვანელობის საკითხებს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, აგრეთვე პროფკავშირული მოძრაობის პრობლემებს ორივე გერმანულ სახელმწიფოში.

ირილოგის აღსანიშნავად

ვარშავა. „ვადამდე შევასრულებთ 1964 წლის გეგმას“ — ასე შეხვდა პოლონეთის ახალგაზრდობა ცნობას იმის შესახებ, რომ 1964 წლის დეკემბერში მოწვეულია სოციალისტური ახალგაზრდობის კავშირის III ყრილობა.

ფ. კასტროს გამოსვლა

ჰავანა. აქ მუშაობა დაამთავრა კუბის მშენებელთა პირველმა ეროვნულმა კონგრესმა, რომელმაც განიხილა კუბის სამშენებლო ორგანიზაციათა ამოცანები.

კონგრესის საბოლოო სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა ფიდელ კასტრომ.

ფიდელ კასტრომ აღნიშნა, რომ ახლა საჭიროა სწრაფად ავაშენოთ ბინები 3,5 მილიონი კაცისათვის, რადგან რევოლუციის გამარჯვებამდე კუბის მოსახლეობის 53 პროცენტი ცხოვრობდა საცხოვრებლად ანბოლოტურად უვარგის შენობებში, და სახლები 1 მილიონ 300 ათასი მცხოვრებისათვის, რომლებსაც საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება ესაჭიროებათ.

ფიდელ კასტრომ მოუწოდა გაუმჯობესონ შრომის ორგანიზაცია სახალხო მეურნეობის უხელა დარგში. ყველა პრობლემის გადაწყვეტის დროს უფრო ფართოდ დაეყრდნონ ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს, მიაღწიონ იმას, რომ მშენებლობაში სწორად შეუხამონ ერომანეთს ეკონომიურობა, კარგი ხარისხი და ლამაზი ფორმები.

• დღეს ლენინური კომკავშირის დაბადების დღეა •

ოქრის თაობა

ეს თაობა ადნობს ფოლადს და მოჰყავს ყურძენი, აგებს ენგურჰესს და ცოცხალი უჯრედის საიდუმლოს ამოცნობაზე მუშაობს, მათემატიკური ფორმულით უტევს „დმერთების ბინას“ და ტელესკოპით კარვის დასადგმელ ადგილს ეძებს მთვარის მთებში, წერს ლირიკულ პოემას და ატომური რეაქტორით ღრმად იჭრება ნეიტრონების წიალში...

ჩვენ მოგითხრობთ არა ფენომენებზე, არამედ უბრალო, რიგით თანამედროვე საბჭოთა ახალგაზრდებზე. რომელთა სახელია ათეული ათასები. მაგრამ ამ თაობის ცხოვრება ისე ლამაზია, რომ სწორედ ლამაზი სიტყვით გინდა გამოსახატო მისი სახელიც. ამიტომ ვუწოდეთ მათ „ჭაბუკი ნიუტონების“ თაობა... ახალგაზრდობისათვის ყველაფერი წინ არის. ვინ იცის მათში რამდენი პოტენციალური ნიუტონის გენია ისხამს ფრთებს...

ჩვენ ვსაუბრობთ პიკასოს ფერწერაზე და აინშტაინის ალბათობის თეორიაზე. ის ჩემ პირდაპირ ზის, მათემატიკური ფორმულებით აჭრელებულ ქაღალდს დაჭყურეტს და მე ვგრძნობ როგორ დაძაბულად მუშაობს მისი გონება. მას ზურაბ ყიფიანს ეძახიან. მან იცის, რომ გეომეტრიული ფორმები არსობის პურიყით საჭიროა ფერწერაში და როგორც ჰაერი სჭირდება მათემატიკოსს სილამაზის კანონები... ადამიანი ქმნის სილამაზის კანონების მიხედვით.

ადამიანებს ჰყოფენ „ფიზიკოსებად“ და „ლირიკოსებად“. ლოგარითმებს უპირისპირებენ რითმებს... თვალიან სულის გაფრენის პარამეტრებს და ლება, იგი ცხოვრების „ომეგისაკენაც“ ისწრაფვის.

და ეთერი მოსკოვის ეკონომიურ სტატისტიკურ ინსტიტუტში შედის დაუსწრებელ განყოფილებაზე. მეოთხე წელია ნიჭიერი ქალიშვილი გამოთვლითი სამუშაოების ავტომატიზაციის მექანიზაციას ეუფლება. ამ სპეციალობისადმი სიყვარულმა იგი „მწვანე ქუჩით“ მოიყვანა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლის ცენტრში. და თავისი შრომით... მედიცინას ემსახურება. ხან კარდიოლოგიის ინსტიტუტს, ხან თერაპიის ინსტიტუტს ეხმარება თანამედროვე ელექტრონული მანქანებით... დიაგნოსტიკისა და მკურნალობის შემდგომი სრულყოფის გზა კიბერნეტიკაზე გადის. ამ გზაზე მიაბიჯებს და ინფორმაციის „ბეჭედი“ ეთერ ჩოხელს... ეთერი ისეა ჩაფლული ამ საინტერესო საქმეში, რომ, მეგობრების თქმით, საპაემანოდაც ვერ იცლის...

რიგმულად ხმაურობენ „ჭკვიანი“ მანქანები, რომლებსაც უმაღლესი მათემატიკური „განათლება“ აქვთ, მანქანის ძარღვებში მიჰქრიან უხილავი ელექტროიმპულსები და დაძაბულად შრომობს მანქანის „ელექტროტვინი“... ეთერი „იმპულსურ ტექნიკას“ აბარებს იანვრის სესიებზე მოსკოვში... ცვლას რომ მორჩება, კომკავშირის კომიტეტში აქვს საქმე, შემდეგ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, მერე საგნებს უნდა ჩაუჯდეს.

რთული და დაძაბული, მაგრამ ძალიან საინტერესოა ამ ადამიანების მუშაობა.

კიბერნეტიკული მანქანები, ბახისა და ლისტის მუსიკა და კინო — აი კომკავშირელი ქალიშვილის ლოზანა კაკაბაძის „სამი სისუსტე“. ლოზანა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლობს... მსუბუქი მრეწველობის განხრით, მაგრამ ელექტრონული გამოთვლითი ტექნიკისადმი მისი სიყვარული ისე ძლიერია, რომ ნუ გაგიკვირდებათ, თუ ლოზანა პოლიტექნიკურში თავის პროფილზე გააგრძელებს სწავლას. იქნებ ეს სულ მალე მოხდეს... ამაზე დიდი სასწაულები ხდება გამოთვლილი ცენტრში...

პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლობს კომკავშირელი ომარ ჩაკვეიძე. გამოთვლითი ცენტრში ტექნიკოსად მუშაობს. კომკავშირის კომიტეტში გვითხრეს, რომ ის სერიოზული, საქმის მცოდნე ჭაბუკია. ომარი ხმელ-ხმელი ვაუკაცია, ენერგიული სახის ნაკვთები აქვს. ჩაიკოვსკის მუსიკა, უმაღლესი მათემატიკა, კიბერნეტიკული ტექნიკა უყვარს...

ბევრნი არიან ისინი... „ახალგაზრდა ნიუტონების“ მრავალათასიანი გვარდიის წევრები...

პარტიის წევრობის კანდიდატი ზურაბ დიდიშვილი, რომელიც წლების მანძილზე სათავეში ედგა გამოთვლითი ცენტრის კომკავშირელებს, ინჟინერი რევაზ სადარაძე, ინჟინერი ამირან გერსამია, ინჟინერი ოთარ ჩხაიძე, ინჟინერი... ბევრნი, ძალიან ბევრნი არიან ისინი... და ამაშია ჩვენი თაობის ძალა. ეს არის დასავლეთში უბადალებული „დაკარგული თაობის“ საპირისპირო „ოქროს თაობა“ — თანამედროვე ჭაბუკებისა და ქალიშვილების თაობა. ისინი თანამედროვენი არიან თავისი საქმით, ფსიქოლოგიით, ხასიათით. ეს თაობა როგორც პოეტმა თქვა:

ღელავს, ბობოქრობს, იწვის, არ
ცხრება,
გრძნობს ხალხისათვის თავდადებული,
რომ არასოდეს არ დამარცხდება
გამარჯვებისთვის დაბადებული.

„ჭაბუკ ნიუტონთა“ თაობის მრავალუამიერს ვამბობთ. ქებათა ქება იმ ჭაბუკს, რომელიც ახლა ამასთუმნდან გაჟყურებს საქართველოს ცას და გალაქტიკაში ახალ ვარსკვლავს დაეძებს, იმ ქალიშვილს, რომელიც ინშტაინის თეორიის ლაბირინთებში გონების შუქით მიიკვლევს გზას, იმ ვაჟაცს, რომელიც მარტენის ღუმელთან დგას, ანდა გუნით ყამრის ტეხს. ქებათა-ქება მათ.

ვლ. ალფენიძე.

* * *

სურათზე: (მარცხნიდან) ინჟინერი ეთერ ჩოხელი, ინჟინერ-ასპირანტი ზურაბ ყიფიანი და უფროსი ტექნიკოსი ლოზანა კაკაბაძე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრის ერთ-ერთ ლაბორატორიაში.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

კოსმოსურ ორბიტაზე მოითხოვენ გაფიდეს პოემა. აზრის გაფრენის ჰორიზონტებზე ორპირი გამჭოლავი ქარები ქრის... ამ დროის მემკვიდრე და მბრძანებელია ჩემი თაობა. ამ თაობის ერთი უჯრედია, ერთი ნერვია ოდნავ გამდგარი, ენერგიული სახის ჭაბუკი ზურაბი.

ახლა ის ცნობილი კიბერნეტიკოსის ეშბის „ტვინის კონსტრუქციაზე“ საუბრობს და კიბერნეტიკულ მანქანებზე ისე ყვება, როგორც ალბათ მისი შორეული პაპა ვაზის გასხვლაზე.

ამ კედლებს იკით მანქანების „მექანიკური ტვინი“ ნიუტონის ტვინის სიზუსტითა და სისწრაფით დაძაბულად ანგარშობს, ითვლის, ბეჭდავს და ისევ ითვლის...

ასპირანტი ზურაბ ყიფიანი კომკავშირელი „ნიუტონების“ თავკაცია. თელავიდან ჩამოსულმა ჭაბუკმა თბილისში დამთავრა ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი... როგორც ხუმრობით იტყვიან მისი ამხანაგები — იგი სამი სახით არსებობს ამ ქვეყანაზე: როგორც ინჟინერი, როგორც ასპირანტი, როგორც კომკავშირელი „ნიუტონების“ მეთაური.

ის მტკიცედ დარწმუნებულია, რომ რომანტიკოსი არ არის. სინამდვილეში კი...

პოეტივით მოგვითხრობს უნივერსალურ ელექტრონულ გამომთვლელ მანქანაზე, რომელზეც ის მუშაობს, მთაწმინდის მთვარეზე, კახეთის ზვრებზე, ალავერდის ჩუქურთმებზე და გრემის კოშკებზე. არც გასაკვირველია. ყოველი ქართველი პოეტიაო — ასე თქვა სულმნათმა ოვანეს თუმანიანმა... ელექტრონული მანქანა, რომელზეც ზურაბი მუშაობს, ცოცხალი არსებაა. მისი „პერია“ — ელექტროდენი. მას აქვს „ტვინი“ — უთვალავი ძარღვებით, ელმავთულებით დაბლართული. „ტვინს“ აქვს „ოპერატიული მეხსიერება“, მანქანას „გარე მეხსიერებაც“ აქვს — მას მანქანის „უბის წიგნაკს“ ეძახიან... მანქანის ფენომენალური „მეხსიერება“, ამ მანქანის მუშაობის პროფილის მეტამორფოზებს ზღვარი არა აქვს... მას შეუძლია „ობეთჰოვენოს“ და მუსიკა შეთხზას, „ოჰომეროსოს“ და ლექსი დაგიწეროთ, „იბოტვინიკოს“ და ჭადრაკი გეთამაშოთ, მანქანას შეუძლია კონსტრუქტორივით სხვა მანქანა დააპროექტოს, თუ გნებავთ ეს მანქანა გახდეს ბუნებისმეტყველი — დარვინის „ბუნებრივი შერჩევის“ თეორიაშიც იმუშავებს.

უფრო მეტიც. კიევში ასეთი მანქანა „სპორტული წინასწარმეტყველის“ როლშიც გამოიყენეს. საინტერესოა, რომ მანქანას ისეთი „ადამიანური თვისებაც“ აღმოაჩნდა, როგორიც არის ფეზბურთის ტენდენციური გულშემატკივრობა. კიევში მანქანამ კიევის „დინამოს“ ჩემპიონობა იწინასწარმეტყველა.

რამდენიმე წლის წინ მსოფლიო პრესის ფურცლები შემოიარა ცნობამ, რომ ელექტრონულმა მანქანამ თარგმნა ისტორიაში პირველად მეცნიერული ტექსტი რუსულიდან ქართულად. ამის შესახებ წერდა ამას წინათ გერმანული ყოველკვირეული „ვოხენპოსტიც“.

ამ დიდ საქმეებთან წილნაყარია ჭაბუკების თაობა, რომლებზეც მოგითხრობთ, ვინც ქმნის, ვინც ექსპლოატაციას უწევს ამ ჯადოსნურ მანქანებს. დიახ, ეს ის თაობაა, რომელმაც ზღაპარი სინამდვილედ უნდა აქციოს.

ამ თაობის ტიპიური ბიოგრაფია აქვს კომკავშირელ ქალიშვილს ეთერ ჩოხელს. ქართველი ქალი მუდამ ცნობილი იყო პოეტური სიტყვით ფუნჯით, ქსოვისა და მეოჯახეობის დიდი ტრადიციებით.

ქართველი ქალის არც ინჟინერული აზრი ჩამორჩება ეპოქის სრბოლას. ამის ერთ-ერთი პატარა მაგალითია ეთერ ჩოხელის საინტერესო ცხოვრება. მან თბილისში რადიოტექნიკუმი დამთავრა და ერთ-ერთ ყველაზე თანამედროვე პროფესიას დაეუფლა. ჭაგრამ ვინც ცხოვრების „ალფას“ ეუფლებოდა, ოდესღაც ბეტაც ეუფლებოდა. ეთერ ჩოხელი ენერგიული ადამიანია. ამ ენერგიამ ბევრ ადამიანს ბევრი ასეთი ბეტა ეუფლებოდა. ეთერ ჩოხელ-ბეტა ეუფლებოდა ინჟინერ-ასპირანტ ზურაბ ყიფიანს, ინჟინერ-ასპირანტ ზურაბ ყიფიანს ეუფლებოდა ეთერ ჩოხელ-ბეტა. ეს

ᲫᲛᲝᲑᲘᲡ ᲒᲖᲐ ᲒᲐᲓᲘᲡ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲝᲜᲖᲔ

ᲛᲝᲫᲛᲔ ᲧᲐᲑᲐᲠᲓᲝ-ᲑᲐᲚᲧᲐᲠᲔᲗᲘᲡ

Кабардино-Балкарская ПРАВДА

ᲡᲢᲣᲛᲠᲐᲓ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ

ᲓᲘᲓᲘ სიამოვნებით ვეხმაურებით გაზეთ „კომუნისტის“ ინიციატივას, ფაქტებისა და ციფრების ენით პეროიდულად მოგითხრობთ მოძმე საქართველოს მშრომელებს ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური რესპუბლიკის მრავალფეროვან ცხოვრებაზე.

ჩვენი რესპუბლიკა მჭიდროდ ეკვრის საბჭოთა საქართველოს. ზემო სვანეთთან ჩვენ ბეჩოს უღელტეხილი გვაკავშირებს, თერგის ნაპირებზე მდებარეობს ორივე რესპუბლიკა, მწვერვალებიც საერთო გვაქვს კავკასიონის მთებში. მხელდა ჩვენი მწვერვალიც არის და თქვენიც. მაგრამ ჩვენს შორის ყველაზე დიდი დამაკავშირებელი ძალაა ხალხთა ლენინური მეგობრობის „გრძნობა, რომელიც ათბობს ყველა საბჭოთა ხალხს.

საბჭოთა ერების ძმურ ოჯახში აყვავდა ყაბარდო-ბალყარეთი, კავისა და თოხის ქვეყანა მძლავრი სოციალისტური ეკონომიკისა და მოწინავე კულტურის რესპუბლიკა გახდა.

ყაბარდო-ბალყარეთი მრავალეროვანი რესპუბლიკაა. აქ ცხოვრობენ ყაბარდოელები, ბალყარელები, რუსები, უკრაინელები, ქართველები, ოსები, მთიელი ებრაელები და სხვა ერების წარმომადგენლები.

ვთავაზობთ ქართველ მკითხველს ინფორმაციებს ყაბარდო-ბალყარეთის ცხოვრებიდან.

ᲕᲐᲜᲝ ᲛᲣᲠᲐᲓᲔᲚᲘᲡ ᲢᲠᲘᲚᲝᲒᲘᲐ

ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲢᲝᲠᲘ ვანო მურადელთან დიდი მეგობრობა აკავშირებს ყაბარდო-ბალყარეთის მშრომელებს. ვ. მურადელი იყო მოსკოვში ყაბარდო-ბალყარეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის მთავარი სამხატვრო ხელმძღვანელი. ამასწინათ კომპოზიტორი ისევ ეწვია ნალჩიკს. ვ. მურადელს განზრახული აქვს შექმნას ოპერა-ტრილოგია. ტრილოგიის პირველი ნაწილია „ოქტომბერი“, მეორე — „დიადი მეგობრობა“ (იგი გადამუშავდება), მესამე იქნება „კოსმონავტები“.

ᲙᲘᲜᲝᲡᲬᲣᲚᲘᲐ ᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ

ᲧᲐᲑᲐᲠᲓᲝ-ბალყარეთის სოფლებში ახლა რამდენიმე სასოფლო კინოსტუდია მუშაობს. მაგალითად, ზოლსკის სტუდიამ მარტო წელს გამოუშვა ათი მცირემეტრაჟიანი ფილმი: „ბრძოლა პურისათვის“, „სწორ გზაზე“ და ა. შ. აგრეთვე სატირული ფილმი „გაიცანით, ისინი ჩვენს გვერდით არიან“.

ფილმების ავტორებიც და გმირებიც სოფლის უბრალო მშრომელები არიან.

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚ სექტემბერს მეცადინეობა დაიწყო ყაბარდო-ბალყარეთის უნივერსიტეტის ქიმიურ ფაკულტეტზე, რომელიც წელს გაიხსნა. ფაკულტეტი მოამზადებს ფართო პროფილის მაღალკვალიფიციურ ქიმიკოსებს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისა და სახალხო განათლების ფროტისათვის. ფაკულტეტზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა უცხო ენების სწავლებას. ეს გასაგებია. მსოფლიო ქიმიური მეცნიერების მიღწევების გაუცხობლად ძნელია დღეს კვალიფიციური კადრების მომზადება, 50 სტუდენტი შეუდგა უკვე ქიმიურ ფაკულტეტზე მეცადინეობას.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲔᲜᲝᲑᲐ

ეს იქნება უნიკალური შენობა საბჭოთა კავშირში. იგი ნალჩიკში რუსეთთან შეერთების 400 წლისთავის სახელობის მოედანზე შენდება.

თეატრის სცენაზე შეიძლება არა მარტო დრამატული სპექტაკლების, არამედ ოპერებისა და ბალეტების დადგმაც. სცენა უახლესი ტექნიკით იქნება აღჭურვილი, თეატრის ფასადი იქნება ალუმინისა და სარკისაგან ნაგები. სომხეთიდან ჩამოიტანეს ტუფი ფასადების მოსაპირკეთებლად. მოძმე სომხეთიდან ჩამოვიდნენ ტუფით შენობის მოპირკეთების ოსტატები. თეატრს ექნება 800-ადგილიანი პარტერი.

ᲙᲘᲤᲠᲗᲐ ᲡᲘᲛᲤᲝᲜᲘᲐ

ᲧᲐᲑᲐᲠᲓᲝ-ᲑᲐᲚᲧᲐᲠᲔᲗᲘ ორგზის ლენინის ორდენოსანი ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკაა.

რამდენიმე წლის წინათ ყაბარდო-ბალყარეთმა იზეიმა რუსეთთან შეერთების 400 წლისთავი.

1918 წელთან შედარებით საერთო პროდუქციის გამოშვება რესპუბლიკაში გაიზარდა 570-ჯერ და მეტად!.. ამ ციფრს კომენტარი არ ესაჭიროება.

ყაბარდო-ბალყარეთის სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგებია: სამთო-მომპოვებელი, ჰანქანთასამშენებლო, ხელსაწყოთსამშენებლო, საშენი მასალების, კვებისა და მსუბუქი მრეწველობა.

ოქტომბრის რევოლუციამდე ყაბარდოელებსა და ბალყარელებს არ ჰქონდათ საკუთარი დამწერლობა, არც ლიტერატურა, პრესა, თეატრი, კინო. მარტო უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე რესპუბლიკაში გამოიცა ათასზე მეტი სახელწოდების წიგნი 3 მილიონ ეგზემპლარად. რევოლუციამდე მთელ ყაბარდო-ბალყარეთში 6 ათასი კაცი სწავლობდა, ამჟამად ეს ციფრი 10-ჯერ და მეტად გაიზარდა. ყაბარდო-ბალყარეთის დედაქალაქ ნალჩიკში გაიხსნა ყაბარდო-ბალყარეთის უნივერსიტეტი.

ყაბარდო-ბალყარეთი მაღალმთიანი კურორტებისა და სპორტული ბაზების რესპუბლიკაა. იალბუზის კალთებზე შენდება საბჭოთა კავშირში და ევროპაში ერთ-ერთი უდიდესი სპორტული ბაზა „ელბრუსი“.

ᲕᲐᲜᲝ ᲛᲣᲠᲐᲓᲔᲚᲘᲡ ᲢᲠᲘᲚᲝᲒᲘᲐ

ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲢᲝᲠᲘ ვანო მურადელთან დიდი მეგობრობა აკავშირებს ყაბარდო-ბალყარეთის მშრომელებს. ვ. მურადელი იყო მოსკოვში ყაბარდო-ბალყარეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის მთავარი სამხატვრო ხელმძღვანელი. ამასწინათ კომპოზიტორი ისევ ეწვია ნალჩიკს. ვ. მურადელს განზრახული აქვს შექმნას ოპერა-ტრილოგია. ტრილოგიის პირველი ნაწილია „ოქტომბერი“, მეორე — „დიადი მეგობრობა“ (იგი გადამუშავდება), მესამე იქნება „კოსმონავტები“.

ᲙᲘᲜᲝᲡᲬᲣᲚᲘᲐ ᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ

ᲧᲐᲑᲐᲠᲓᲝ-ბალყარეთის სოფლებში ახლა რამდენიმე სასოფლო კინოსტუდია მუშაობს. მაგალითად, ზოლსკის სტუდიამ მარტო წელს გამოუშვა ათი მცირემეტრაჟიანი ფილმი: „ბრძოლა პურისათვის“, „სწორ გზაზე“ და ა. შ. აგრეთვე სატირული ფილმი „გაიცანით, ისინი ჩვენს გვერდით არიან“.

ფილმების ავტორებიც და გმირებიც სოფლის უბრალო მშრომელები არიან.

ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ — ᲡᲙᲝᲚᲐ

ᲜᲐᲚᲩᲘᲙᲘᲡ მანქანათსამშენებლო ქარხნის პროდუქციას მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იცნობენ. აქ შრომობენ მსწავლები, მეჩარხეები, ზეინკლები... ქარხანა უშვებს ნავთობმომპოვებელი სარეწების მოწყობილობას. მაღალკვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნილება დღითიდღე იზრდება. ქარხანაში არსებობს სპეციალური სასწავლო კორპუსი. აქ მუშები ეუფლებიან ლითოსნოობას, ტექნოლოგიას, ნახაზების კითხვას, უსაშიშრობის ტექნიკას... მათ ასწავლიან გამოცდილი ინჟინრები, ტექნიკოსები, წარმოების ნოვატორები. ყოველწლიურად სწავლების ამ კურსს 300-მდე ახალგაზრდა მუშა გადის.

ᲥᲐᲗᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲚ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ

ᲑᲐᲫᲘᲡᲐᲜᲘᲡ საწარმოო სამმართველოს შრომელებს ემსახურება რაიონული სამრეწველო-საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი. იგი მუშათა და კოლმეურნეთა სახლების რემონტზე მუშაობს. ბიუროს თავისი ტრანსპორტით ქალაქის ბაზრამდე გადააქვს კოლმეურნეთა გასაყიდი საქონელი, ქალაქიდან სოფელში თავისი ტრანსპორტით ჩააქვს მოსახლეობის მიერ შეძენილი ნივთები. სპეციალური მანქანით სოფლებში მიემგზავრებიან თერძი, მექუდე, ფოტოგრაფი, მესაათე მოსახლეობის განაცხადების მიხედვით. ამას წინათ აქ გაიხსნა ავეჯის საამქრო და რადიოტელეატელიე.

ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ — ᲡᲙᲝᲚᲐ

ᲜᲐᲚᲩᲘᲙᲘᲡ მანქანათსამშენებლო ქარხნის პროდუქციას მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იცნობენ. აქ შრომობენ მსწავლები, მეჩარხეები, ზეინკლები... ქარხანა უშვებს ნავთობმომპოვებელი სარეწების მოწყობილობას. მაღალკვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნილება დღითიდღე იზრდება. ქარხანაში არსებობს სპეციალური სასწავლო კორპუსი. აქ მუშები ეუფლებიან ლითოსნოობას, ტექნოლოგიას, ნახაზების კითხვას, უსაშიშრობის ტექნიკას... მათ ასწავლიან გამოცდილი ინჟინრები, ტექნიკოსები, წარმოების ნოვატორები. ყოველწლიურად სწავლების ამ კურსს 300-მდე ახალგაზრდა მუშა გადის.

ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲬᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ



ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ კავკასიის მრგვალიტს უწოდებენ ყაბარდო-ბალყარეთის დედაქალაქ ნალჩიკს. ეს შესანიშნავი არქიტექტურის ქალაქია. ამ სურათზე აღბეჭდილია სასტუმრო „ნალჩიკის“ შენობა.

ᲧᲐᲑᲐᲠᲓᲝᲔᲚᲘ ᲐᲜᲓᲐᲖᲔᲑᲘ

- △ ჭკუას მთელი მსოფლიოს ოქროც ვერ იყიდის.
- △ ღიმილი მზეგრძელობაა, ღვარძლი — დღის სიმოკლე.
- △ მარტოხელა კაცმა გზაში მეგობარი უნდა ეძებოს.

ᲑᲐᲚᲧᲐᲠᲣᲚᲘ ᲐᲜᲓᲐᲖᲔᲑᲘ

- △ ენაგრძელობა ჭკუის სიმოკლის ნიშანია.
- △ ქარიშხალი ნორჩ მუხას მხოლოდ გადაღუნავს, დამპალს კი გადატეხს.
- △ კაცს ორი ყური და ერთი პირი იმიტომ აქვს, რომ მეტი მოისმინოს და ცოტა ილაპარაკოს.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ

ᲩᲐᲛᲭᲠᲐᲚᲘ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘ

ᲛᲝᲛᲚᲔᲠᲐᲚ ᲞᲚᲐᲢᲝᲜ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 100 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲙᲝᲛᲔᲓᲘᲐᲡᲐᲕᲘᲗ მოულოდნელად ამობრწყინდა და ასევე მოულოდნელად ჩაქრა. ეს იყო 70 წლის წინათ, ქართული მუსიკალური კულტურის აყვავების გარიჟრაჟზე, როცა ჩვენი სახელოვანი კომპოზიტორები ნიკო სულხანიშვილი, მელიტონ ბალანჩივაძე, დიმიტრი არაყიშვილი და ზაქარია ფალიაშვილი ოცნებობდნენ პირველი ეროვნული ოპერის შექმნაზე და თავიანთი ნაწარმოებების ისეთ შემსრულებლებზე, როგორიც პლატონ კაკაბაძე იყო.

ძნელია გარკვევით თქვა რამე მომღერალზე, რომელიც არასოდეს მოგისმენია. დღეს ყველა გამოჩენილი მომღერალის თუ მსახიობის ხმა, ყოველი ამოსუნთქვა შეიძლება ფირზე ჩაეწეროთ და შთამომავლობას შეეუნახოთ, მაგრამ ასე როდი იყო მაშინ. მხოლოდ პლატონის თანამედროვეთა მოგონებებსა და იმდროინდელ გაზეთებში გამოქვეყნებული ცნობები გვაძლევენ დაახლოებით წარმოდგენას თუ რა ნიჭისა და შესაძლებლობის მომღერალი ყოფილა იგი.

პლატონ მიხეილის-ძე კაკაბაძე დაიბადა ხონში ამ ერთი .საუკუნის წინათ. დედამისი სოფიო ბაღათურია, საამო ხმის პატრონი იყო და, როგორც ჩანს, შვილსაც გამოჰყვა ეს მადლი. ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ჭაბუკმა გადაწყვიტა მთელი თავისი მომავალი ცხოვრება მუსიკის შესწავლისა და არტისტული კარიერისათვის დაეთმო. ამ გატაცებას ხელი შეუწყო ფილიმონ ქორიძესთან და მელიტონ ბალანჩივაძესთან დაახლოებამ.

1890 წელს პ. კაკაბაძემ კონცერტები გამართა ქუთაისში, სოხუმში, ხონში, ცოტა-დენი ფული მოაგროვა, მუსიკალური განათლების მისაღებად პეტერბურგს გაემგზავრა და კონსერვატორიაში შევიდა. აქაც მელიტონ ბალანჩივაძე იყო მისი წინამძღოლი და ხელის შემწყობი.

ერთი წლის შემდეგ მახლობლებისა და მეგობრების რჩევით ახალგაზრდა მომღერალმა პეტერბურგის საიმპერატორო თეატრს მიმართა დასახმარებლად. ცნობილმა რუსმა სოლისტებმა ლეონიდ იაკოვლევმა და ივანე მელნიკოვმა გამოსცადეს ქართველი მომღერალი, საუკეთესო შეფასება მისცეს და უშუალდგომლეს საიმპერატორო თეატრის დირექტორთან, რომელმაც კომისია გამოჰყო და გამოიცდა დაუნიშნა. გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ პლატონს სტიპენდიად თვეში 100 მანეთი დაენიშნა. როგორც ვ. ბალანჩივაძე იგონებდა, მელიტონთან ერთად პლატონს ხელს უწყობდა და ეხმარებოდა აკაკი წერეთელიც.

პეტერბურგში პ. კაკაბაძე წარმატებით გამოდიოდა საქვედოოქმედო საღამოებსა და კონცერტებზე. 1891 წლის მიწურულში გაზეთ „ივერიის“ კორესპონდენტი პეტერბურგიდან იწერებოდა:

„სულითა და გულით ვისურვებ რომ ბ-ნ კაკაბაძის საქმე დაუბრკოლებლივ წასულიყოს, როგორც თავის თავისა, ისე მისი ქვეყნის სასახელოდ და კარგად გამოაყენებინოს ის ძლიერი ხმა, ბარიტონის მსგავსი მაღალი... რომელიც იმასაა აქვს. ქართველებში პირველი მაგალითი იქნება, ბ-ნი კაკაბაძე ასეთის საზოგადოდ დიდად იშვიათის ხმით გამოვა სამუსიკო მოღვაწეობის ასპარეზზე“.

პ. კაკაბაძე სწრაფად იზრდებოდა და ოსტატდებოდა როგორც მომღერალი. პეტერბურგის მუსიკალურ წრეებში ერთხმად აღიარეს მისი იშვიათი ნიჭი და დიდი მომავალი.

1893 წელს საიმპერატორო თეატრის შუადგომლობით ახალგაზრდა ქართველი მომღერალი უმაღლესი ვოკალური ცოდნის მისაღებად სახელმწიფო ჯარჯზე მიავლინეს იტალიაში, ქალაქ მილანში.

მილანში საბოლოოდ დაისვეწა და მთელი ძლიერებით აღიერდა პლატონ კაკაბაძის ხმა — იშვიათი დრამატული ტენორი. იტალიაში ქართველ მომღერალს მალე ბევრი მეგობარი და თაყვანისმცემელი გაუჩნდა. განსაკუთრებით დაუახლოვდა პლატონი გამოჩენილ მომღერლებს პიეტრო ბატრუს, დელი არიოს, სომეხ ვოკალისტებს ბეგლარ ამირჯიანს და კოსტანიანს, ცნობილ რობერტ ადელგეიმს, მეცენატ ცოვაკს.

უყვარდათ, დიდად აფასებდნენ მის ნიჭს, ეს კარგად ჩანს იმ ბარათებიდან და სურათებზე უბრალო მინაწერებიდანაც, რომელიც ახალგაზრდა მომღერალს უგზავნიდნენ მისი თაყვანისმცემლები და მეგობრები. გეორგ სამარკოს პლატონისათვის საკუთარი პორტრეტი მიუძღვნია ასეთი წარწერით: „იშვიათი ნიჭის არტისტს და ძვირფას სატკივარ მეგობარს — ბატონ კაკაბაძეს“.

რობერტ ადელგეიმი ბარათით ამხნევებდა კოლეგას და სახარგებლო რჩევას აძლევდა: „თქვენ განგიზრახავთ მანდ მღერა. ძალიან კარგს იზამთ. მოიკრიბეთ ძალღონე და იმოქმედეთ. თამაშზე მაინცდამაინც ნუ იფიქრებთ... მთავარია ხმა, რომელიც თქვენ კარგი გაქვთ, მაშასადამე, წარმატებაც უეჭველი გექნებათ. ოღონდ გაბედულად. მთელი სულით და გულით გისურვებთ წარმატებას“.

იტალიელ პედაგოგებთან ერთი წლის გულმოდგინე მეცადინეობის შემდეგ პ. კაკაბაძემ მილანის ერთ-ერთ თეატრში მიიღო დებიუტი, რომელიც მისი ბრწყინვალე არტისტული კარიერის დასაწყისი იყო. ამის შემდეგ „იმერლის“ ფსევდონიმით იტალიის ქალაქებში იგი შესანიშნავად მღეროდა პირველ პარტიებს — „ფაუსტში“, „ფავორიტ ქალში“, „კარმენსა“ და სხვა ოპერებში. 1895 წლის აპრილში უკვე ოპერის საუკეთესო არტისტად აღიარებული რუსეთისაკენ გამოემგზავრა.

„ივერიის“ კორესპონდენტი მილანიდან თანამემამულეებს სიხარულით აუწყებდა:

„ამ დღეებში პეტერბურგს გავისტუმრეთ ახალგაზრდა მომღერალი ბატონი კაკაბაძე, რომელიც სამი წლით იყო გაგზავნილი პეტერბურგის სათეატრო დირექციის ხარჯით გალობაში გასავარჯიშებლად. დღეს კი დაასრულა თავისი საქმე და პირველი დებიუტი საადგომოდ ექნება მარიამის თეატრში. ამ ყმაწვილ კაცს შესანიშნავი ტენორი აქვს და იმედია მალე სახელსაც გაითქვამს“.

თანამედროვეთა გადმოცემით პ. კაკაბაძე მრავალმხრივ განსწავლული და განათლებული კაცი ყოფილა. არტისტულ კარიერასთან ერთად პლატონს განზრახული ჰქონია მშობლიური სიმღერების შეგროვება და ნოტებზე ფიქსირება. მელიტონ ბალანჩივაძესთან ერთად იგი ქართული ოპერის შექმნაზე და ქართველი გმირების განსახიერებაზე ოცნებობდა.

1895 წლის აპრილში მილანიდან დაბრუნებისთანავე პ. კაკაბაძეს პეტერბურგს საიმპერატორო თეატრში დებიუტი დაუნიშნეს. ახალგაზრდა ქართველი მომღერლის მისვლამ რუსეთის საუკეთესო თეატრში, რომელშიც სახელგანოქმული მსახიობები მოღვაწეობდნენ, დიდი სენსაცია გამოიწვია.

დებიუტი საბედისწერო გამოდგა. სცენაზე გამოსვლის წინ კაკაბაძე ცუდად შეიქნა და ხმა ჩაუწყდა. დებიუტი ჩაიშალა. თავის დროზე ამაზე დიდი მითქმამოთქმა ატყდა. ამბობდნენ, ახალგაზრდა მსახიობი შურით აღვსილმა ადამიანებმა მოწამლესო. ახლა, სამოცდაათი წლის შემდეგ ძნელია იმის დადგენა, თუ რამდენად შეეფერებოდა ეს ხმები სინამდვილეს.

მოულოდნელმა მარცხმა მძიმე გავლენა მოახდინა ახალგაზრდა მომღერალზე. საბოლოოდ გაუტყდა ჯანმრთელობა, რამდენიმე თვეს იავადმყოფა და 1895 წლის 6 დეკემბერს გარდაიცვალა ხონში, მშობლების ოჯახში.

ვინ იცის, რამდენი განუხორციელებელი ნატვრა, რამდენი კეთილი ფიქრი და ზრახვა ჩაიტანა საფლავში. პლატონ კაკაბაძე იყო ერთი პირველთაგანი, რომლის არტისტულმა ნიჭმა გზა გაუკაფა ქართული ვოკალური კულტურის განვითარებას, ჩვენს კომპოზიტორებს შესძინა გამბედაობა და სითამამე — ეფიქრათ ეროვნული ოპერის შექმნაზე.

პ. ცამციშვილი.

ᲛᲐᲢᲩᲘ ᲓᲝᲜᲘᲡ ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲘᲡ

ᲒᲣᲨᲘᲜ დონის როსტოვში გაიმართა „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდების მატჩი ფეხბურთში, თამაშობდნენ ადგილობრივი სკა-ს და ბაქოს „ნეფტიანიკის“ გუნდები. მეტოქეებმა თითო ბურთი გაიტანეს და შეხვედრა ფრედ დაამთავრეს.

დონის როსტოვის სკა-მ დაამთავრა ჩემპიონატი. მას 38 ქულა აქვს და მეოთხე ადგილზე იმყოფება. „ნეფტიანიკმა“ თავი დააღწია საშიშ ზონას, 25 ქულით მას მე-12 ადგილი უკავია.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ „ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘᲡ“ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲒᲣᲨᲘᲜ მოსკოვში „ა“ კლასის მეორე ჯგუფის ფეხბურთელთა კოლექტივების ფინალური ტურნირის მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვისა და ჩელიაბინსკის „ლოკომოტივის“ გუნდები. გაიმარჯვეს მოსკოველებმა ანგარიშით 2 : 1.

ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲙᲐᲚᲛᲘᲗ

△ ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ Კ. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ საქართველოს ᲣᲠᲝᲚᲝᲒᲗᲐ რესპუბლიკური და თბილისის საზოგადოებათა პირველი გაერთიანებული გამსვლელი სამეცნიერო სესია.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პროფესორმა ა. წულუკიძემ.

მოხსენებები წაიკითხეს პროფესორებმა ალ. გზირიშვილმა, ლ. ცისკარიშვილმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორებმა ი. კაპეტიკაძემ, ვ. გიორგაძემ და სხვ.

Б. ᲩᲐᲩᲮᲘᲐᲜᲘ.

△ ᲓᲦᲘᲗᲘᲓᲦᲔ მშენდება და ლამაზდება რაიონული ცენტრი ლენინგორი. ამ დღეებში დაბის მშრომელებმა მიიღეს ახალი ორსართულიანი 12-ბინიანი საერთო საცხოვრებელი შენობა.

Პ. ᲫᲣᲛᲐᲠᲘᲢᲝᲕᲐ.

△ ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ საქვაბრობის განყოფილებამ ამას წინათ ოქტომბრის ქუჩაზე გახსნა მინერალური წყლების გასაყიდი სპეციალური მაღაზია.

Б. ᲐᲚᲬᲘᲜᲐᲘᲐ.

△ ᲡᲐᲓᲒᲣᲠ მეორე ქუთაისის ტერიტორია კიდევ ერთმა ნაგებობამ დაამშვენა. რამდენიმე დღის წინ ხარაჩოები ჩამოხსნეს და საექსპლოატაციოდ გადასცეს № 19 სასადილოს ახალი შენობა.

ᲘᲕ. ᲑᲣᲮᲐᲘᲫᲔ.

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ აეროპორტიდან საჰაერო ლაინერები ახლა ხუთი მიმართულებით ფრენენ. წინათ მეხტიაში მხოლოდ მანქანით შეგეძლოთ ასვლა, დღეს კი თვითმფრინავით შეგიძლიათ იმგზავროთ.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ აეროპორტში.

ფოტო ბ. შანავასი.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲐᲦᲧᲐ ᲨᲔᲛᲝᲛᲐᲠᲗᲧᲔᲡ... ᲡᲐᲘᲚᲝᲛᲝᲑᲘᲗ

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ სუდანის ქალაქ გენინას სპილოების მთელი ჯოგი დაესხა თავს. „ჯუნგლების მეფეებმა“ დაიკავეს საწყისი პოზიციები ქალაქის ირგვლივ ბაღებსა და მინდვრებში. მცხოვრებთა მიერ მოღებული ყველა ღონისძიების მიუხედავად, ცხოველებმა არ ისურვეს წასულიყვნენ და განაგრძობდნენ ყველაფრის განადგურებას.

როგორც ალეირის გაზეთი „ალჟერ რეპუბლიკენი“ იუწყება, მაშინ გენინის მუნიციპალურმა ხელისუფლებამ დასახმარებლად მიმართეს არმიისა და პოლიციის ქვეგანაყოფებს. მაგრამ სპილოები არ შეუშინდნენ არც სპეციალური ტაცუნების ხმაურს და არც თოფის ხმის სროლას. ბოლოს მიღებულ იქნა გადწყვეტილება მოეკლათ ბებერი მამალი სპილო, რომელიც, როგორც ჩანდა, ამ „ოპერაციას“ ხელმძღვანელობდა. მხოლოდ ამის შემდეგ ჯოგმა დაიწყო ორგანიზებული უკანდახევა. ჯოგის უკანდახევას იცავდა შეიდი ძლიერი მამალი სპილო.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲔᲑᲘ • ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲔᲑᲘ •

ᲢᲔᲚ-ᲐᲕᲘᲕᲘ, XVI ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲐ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ, საბჭოთა კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში რომ შედიხართ, არ შეიძლება თქვენი ყურადღება არ მიიპყროს სპეციალურ კარადაში მოთავსებულმა ძვირფასმა თასმა, რომელზეც სხვადასხვა ქვეყნის სახელია ამოკვეთილი. ეს გახლავთ, თასი, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ გადაეცემა საერთაშორისო საჭადრაკო ოლიმპიადაში ანუ, როგორც მას სხვანაირად უწოდებენ, „ერების ტურნირში“ გამარჯვებულ გუნდს. ორ წელიწადში ერთხელ თასს ფრთხილად გამოიღებენ ხოლმე კარადიდან და „ცხრა მთას იქით“ უკრავენ თავს, მაგრამ ეტყობა მას „არ უყვარს“ მოგზაურობა, ერთი თვის შემდეგ მოსკოვში ბრუნდება და ისევ ჩვეულ კარადაში იკეტება. აქ იგი 1952 წლიდან ინახება, როდესაც საბჭოთა მოჭადრაკეებმა პირველად მიიღეს საერთაშორისო ოლიმპიადაში მონაწილეობა და საპატიო ჯილდოც დაიმსახურეს.

ამ დღეებში თასის „მორიგი მოგზაურობა“ დაიწყო. მან ტელ-ავივში „ამოჰყო“ თავი, სადაც 3 ნოემბერს იწყება XVI საჭადრაკო ოლიმპიადა. მიმმხილველთა აზრით, თასი ისევ მოსკოვში დაბრუნდება. რა საბუთით? გადავხედოთ საბჭოთა კავშირის გუნდს. აქ თამაშობენ **ტ. პეტროსიანი, მ. ბოტვინიკი, ვ. სპისლოვი, პ. კერესი, ბ. სპასკი და ლ. შტეინი.** კი მაგრამ სად არის მ. ტალი, რომელიც ოთხი წლის წინათ ლიპეცკში „სარდლობდა“ საბჭოთა მოჭადრაკეებს? კურიოზია, მაგრამ ფაქტია, რომ მისთვის გუნდში ადგილი არ აღმოჩნდა. აი სადამდე მივყავართ ტალანტების სიჯარბეს!

არც სხვა გუნდები არიან გულხელდაკრეფილნი, აი თასის ბელგრადში „გამგზავრების“ მომხრენი: ცნობილი გროსმაისტერები **ს. გლიგორიჩი, ბ. ივკოვი, ა. მატანოვიჩი, ბ. ტრიფუნოვიჩი, ბ. პარმა** (ერთ-ერთი მათგანი სათადარიგო მოთამაშე იქნება). 1950 წელს სწორედ იუგოსლავიელებს დარჩათ გამარჯვება „ერების ტურნირში“. სხვათა შორის უნდა შევნიშნოთ რომ ტელ-ავივიდან მატანოვიჩი პირდაპირ მოსკოვში გამოემგზავრება, რათა მილუნა „ზარავიჩი მოამზადოს ზატულოვსკაიასა და კუშნირის წინააღმდეგ „სამთა ტურნირში“ საბრძოლველად.

თასის მისამართის შეცვლას „ხმას მისცემენ“ ამერიკელები: **რ. ფიშერი, ს. რეშევსკი, ლ. ევანსი, პ. ბენკო, რ. ბირნი, უ. ლომბარდი.** აქ მკითხველი შეიძლება გააკვირვოს იმან, რომ ამპარტავანი რეშევსკი დათანხმდა ითამაშოს მეორე დაფაზე ფიშერის შემდეგ. რას იზამ — „დრონნი მეფობენ და არა მეფენი“. ამასთან არ შეიძლება არ გაუწიო ანგარიში ეროვნულ ჩემპიონატში ექვსჯერ ზედიზედ დამარცხებას, რაც უნდა ჯიუტი იყო! ტელ-ავივში უნდა გამოირკვეს ერთი რამ, თუ რას ნიშნავდა ფიშერის „ათი თვის ღუმილი“. რა თქმა უნდა, მისი მონაწილეობა ყველა ტურნირში საინტერესოა, მაგრამ ფიშერმა ვერ მოახერხა „დაეჩოქებინა“ შეკიბრების ორგანიზატორები — ორი ათასი დოლარი „შეეწირათ მისთვის“. მაშინ ფიშერმა ახალი ნიხრი დაიწია — ათასი დოლარი. ამ თანხის გადახდაზეც უარი გამოუცხადეს ამას წინათ იუგოსლავიელებმა. ახლა ტელ-ავივში წამოსვლის წინ ჭაბუკი გროსმაისტერი სათანადოდ მომამზადეს დოლარებით. ამის სანაცვლოდ მაინც სათანადოდ უნდა მომამზადოს ქულებით

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲔᲑᲖᲔ

ᲢᲘᲠᲐᲜᲐᲨᲘ ჰოლანდიის ფეხბურთელთა ნაკრებმა გამართა მსოფლიო პირველობის მეორე შესარჩევი მატჩი ალბანეთის გუნდთან. ისევე როგორც პირველ შეხვედრაში, გაიმარჯვეს ჰოლანდიელებმა ანგარიშით 2 : 0.

ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲨᲘ გაიმართა საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში უნგრეთისა და იუგოსლავიის ნაკრებს შორის. გაიმარჯვეს მასპინძლებმა 2 : 1. ორივე ბურთი იუგოსლავი